პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 1918-ე წელი
№ 178 (11182) | სამშაბათი, 5 აგვისტო, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

**სსრ კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მტკიცედ უჭერენ მხარს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ერაყის რესპუბლიკისა და არაბთა სხვა ქვეყნების ხალხთა სამართლიან ბრძოლას, აგრეთვე აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.**

(კომუნიკედან ნ. ს. ხრუშჩოვისა და მაო ძე-დუნის შეხვედრის შესახებ)

# კ ო მ უ ნ ი კ ე
## ნ. ს. ხრუშჩოვისა და მაო ძე-დუნის შეხვედრის შესახებ

1958 წლის 31 ივლისიდან 3 აგვისტომდე პეკინში გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის შეხვედრა.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ვ. ვ. კუზნეცოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ბ. ნ. პონომარიოვი;

ჩინეთის მხრივ — სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი, სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე და თავდაცვის მინისტრი მარშალი პინ დე-ხუაი, სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ჩენ ი, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრი ვან ძია-სიანი.

მხარეებმა განსაკუთრებული გულითადობისა და გულწრფელობის ვითარებაში ყოველმხრივ განიხილეს და დაადასტურეს შეხედულებათა სრული ერთიანობა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალურ და დიდმნიშვნელოვან პრობლემებზე, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების საკითხებზე, აგრეთვე საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიანი გადაჭრისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვისათვის ერთობლივი ბრძოლის საკითხებზე.

ორივე მხარეს ერთსულოვნად მიაჩნია, რომ სსრ კავშირმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ სოციალიზმის ბანაკის სხვა ქვეყნებთან ერთად, აგრეთვე ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოსა და ხალხთან ერთად უდიდესი წარმატებანი მოიპოვეს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის დაცვისათვის ბრძოლაში. სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამშვიდობო პოლიტიკა სარგებლობს ყველა ქვეყნის ხალხთა მხარდაჭერითა და სიმპათიით, რაც დღითიდღე იზრდება. ინდოეთი, ინდონეზია, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა და აზიის, აფრიკის, ამერიკისა და ევროპის სხვა სახელმწიფოები და ხალხები, რომელნიც მშვიდობიანი თანაარსებობისათვის იბრძვიან, დღითიდღე სულ უფრო დიდ როლს ასრულებენ მშვიდობის განმტკიცებაში. მშვიდობის ძალები ყველგან უმაგალითოდ გაიზარდა.

ამ ნათელი და თანმიმდევრული პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც ჩვენი ორივე ქვეყნისა და ყველა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს შეესაბამება, იმპერიალისტური აგრესიული წრეები ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტური ჯგუფების მეთაურობით კვლავ გამოდიან მშვიდობიანი თანაარსებობისა და თანამშრომლობის წინააღმდეგ, ჯიუტად ამბობენ უარს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაზე, ხელს უშლიან დიდი სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურების თათბირის მოწვევას და აძლიერებენ ახალი ომის მზადებას, საფრთხეს უქმნიან რა ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას. ეს იმპერიალისტური ძალები გამოდიან როგორც მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმის მტრები, აკოწიწებენ აგრესიულ სამხედრო პოლიტიკურ ბლოკებს, თავიანთი სამხედრო ბაზების ქსელში ახვევენ დედამიწას, სულ უფრო მეტად და უფრო უხეშად ერევიან სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში.

შეიარაღებულმა აგრესიამ ლიბანისა და იორდანიის წინააღმდეგ, რაც ამ უკანასკნელ ხანს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა განახორციელეს, აგრეთვე მათმა მუქარამ — სამხედრო ძალა გამოიყენონ ერაყის რესპუბლიკისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის წინააღმდეგ, მკვეთრად გააძლიერა დაძაბულობა ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში და სულ უფრო სერიოზულს ხდის ომის საფრთხეს, ამასთან იწვევს საყოველთაო პროტესტს და დაგმობას ყველა ქვეყნის ხალხთა მხრივ.

სსრ კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მკაცრად გმობენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის უხეშ აგრესიულ მოქმედებას ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონში, ითხოვენ გადაუდებლად მოეწყოს დიდი სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურების თათბირი შუა და ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობის განსახილველად, აგრეთვე გადაჭრით მოითხოვენ, რომ დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნან ამერიკის შეერთებული შტატების ჯარები ლიბანიდან და ინგლისის ჯარები იორდანიიდან.

სსრ კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მტკიცედ უჭერენ მხარს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, ერაყის რესპუბლიკისა და არაბთა სხვა ქვეყნების ხალხთა სამართლიან ბრძოლას, აგრეთვე აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონის და მსოფლიოს სხვა რაიონების ამბები აღასტურებენ, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დაუძლეველია, რომ კოლონიალიზმის ხანა საუდამოდ გაქრა და რომ ყოველგვარი ცდა შეინარჩუნონ და დაბრუნონ კოლონიური ბატონობა, რომელიც ეწინააღმდეგება ისტორიული განვითარების მსვლელობას, ზიანს აყენებს მშვიდობის საქმეს და უთუოდ ჩაიფუშება.

მთელ რიგ იმ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე აზრთა ყოველმხრივი გაცვლის შედეგად, რომლებიც დგება ორივე მხარის წინაშე აზიასა და ევროპაში თანამედროვე საერთაშორისო ვითარებასთან დაკავშირებით, მიღწეულია სრული შეთანხმება ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც უნდა განხორციელდეს აგრესიის წინააღმდეგ საბრძოლველად და მშვიდობის შესანარჩუნებლად.

საბჭოთა კავშირი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა გააკეთებენ ყოველივე შესაძლებელს საერთაშორისო დაძაბულობის შესანელებლად და ახალი ომის უბედურებათა თავიდან ასაცილებლად. ორივე მხარე კვლავ აცხადებს, რომ სახელმწიფოებმა პატივი უნდა სცენ ყველა ქვეყნის ხალხთა უფლებას აირჩიონ თავიანთი სოციალურ-პოლიტიკური სისტემა; სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ მშვიდობიანი თანაარსებობა ცნობილი ხუთი პრინციპის შესაბამისად, რომლებმაც ფართო საერთაშორისო აღიარება პოვეს; ყველა საერთაშორისო სადავო საკითხი მშვიდობიანი საშუალებებით უნდა გადაიჭრას მოლაპარაკების გზით, წახალისებულ უნდა იქნას ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის განვითარება სხვადასხვა ქვეყნის ურთიერთსარგებლობისა და მშვიდობიანი შეჯიბრების საფუძველზე, რაც ხელს უწყობს ხალხთა შორის ურთიერთგაგებას, სავსებით შეესაბამება საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის შენარჩუნების მიზნებს.

ამჟამად მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის პირველი რიგის ამოცანაა ის, რომ სახელმწიფოებმა მიაღწიონ შეთანხმებას შეიარაღების შემცირების, ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტისა და მისი აკრძალვის შესახებ, ყველა სამხედრო დაჯგუფების და სხვის ტერიტორიაზე შექმნილი ყველა სამხედრო ბაზის ლიკვიდაციის, მშვიდობისა და კოლექტიური უშიშროების პაქტის დადების შესახებ.

მაგრამ ის საკითხი, შეიძლება თუ არა ომის თავიდან აცილება, როდის დამოკიდებული მარტო მშვიდობისმოყვარე ხალხთა კეთილ მისწრაფებებზე და მათ ცალმხრივ ღონისძიებებზე. დასავლეთის სახელმწიფოთა აგრესიული წრეები დღემდე უარს ამბობენ მიიღონ რაიმე ნამდვილი ღონისძიება მშვიდობის შესანარჩუნებლად და, პირიქით, უგუნურად აძლიერებენ საერთაშორისო დაძაბულობას, აყენებენ კაცობრიობას ომის კატასტროფის პირას. მაგრამ მათ უნდა იცოდნენ, რომ თუ ომის მოტრფიალე იმპერიალისტი მანიაკები გაბედავენ თავს მოახვიონ ხალხებს ომი, ყველა მშვიდობისმოყვარე და თავისუფლებისმოყვარე სახელმწიფო და ხალხები, მჭიდროდ შეკავშირებულნი, სამუდამოდ მოუღებენ ბოლოს იმპერიალისტ აგრესორებს და დაამკვიდრებენ მარადიულ მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

ორივე მხარე დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და ჩინეთის კომუნისტურ პარტიას შორის, საბჭოთა მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის, ჩვენი ქვეყნების ხალხებს შორის წარმატებით ვითარდება და სულ უფრო მტკიცდება მეგობრობის, ყოველმხრივი თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ძმური ურთიერთობა. სწრაფად ვითარდება ორივე ქვეყნის ეკონომიკა, დღითიდღე მტკიცდება მათი ძლიერება. ერთიანობასა და თანამშრომლობას, რასაც ორივე ქვეყანა სრული თანასწორუფლებიანობისა და ამხანაგური ურთიერთდახმარების საფუძველზე აშენებს, დიდი სასიცოცხლო ძალა აქვთ. ეს ერთიანობა და თანამშრომლობა ხელს უწყობენ არა მარტო ორივე ქვეყნის სწრაფ წინსვლას სოციალიზმისა და კომუნიზმის გზით, არამედ მთელი სოციალისტური ბანაკის ძლიერების განმტკიცებასაც.

ორივე მხარემ გადაწყვიტა უზრუნველყონ ჩვენს ქვეყნებს შორის ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი ყოველი ღონისძიებით განვითარება, კიდევ უფრო განამტკიცონ სოციალისტური ბანაკის ერთიანობა, შეკავშირება ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოსთან და ხალხთან და ერთსულოვნად გამოთქვეს შეთანხმებული აზრი ყველა განხილულ საკითხზე.

ორივე მხარე სავსებით ერთიანია იმ ამოცანების შეფასებაში, რომლებიც დგას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის წინაშე. ორივე მარქსისტულ-ლენინური პარტიის ურყევი ერთიანობა მარად იქნება ჩვენი საერთო საქმის გამარჯვების საიმედო გარანტია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და ჩინეთის კომუნისტური პარტია მუდამ დაიცავენ ამ წმიდათა წმიდა ერთიანობას, იბრძოლებენ მარქსიზმ-ლენინიზმის სიწმიდისათვის, დაიცავენ კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის დეკლარაციის პრინციპებს, აგრეთვე შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებენ კომუნისტურ მოძრაობაში მთავარი საფრთხის — რევიზიონიზმის წინააღმდეგ. ამ რევიზიონიზმმა აშკარა გამოხატულება ჰპოვა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის პროგრამაში.

ორივე მხარე გამოთქვამს სრულ რწმენას, რომ მშვიდობისა და სოციალიზმის დღითიდღე მზარდი ძალები უთუოდ გადალახავენ ყველა დაბრკოლებას წინსვლის გზაზე და მოიპოვებენ დიად გამარჯვებას.

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე**
**ნ. ს. ხრუშჩოვი**

**ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე**
**მაო ძე-დუნი**

1958 წლის 3 აგვისტო.

3 აგვისტოს პეკინში ხელმოწერილ იქნა კომუნიკე ნ. ს. ხრუშჩოვისა და მაო ძე-დუნის შეხვედრის შესახებ. სურათზე: ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი და მაო ძე-დუნი ერთმანეთს ხელს ართმევენ კომუნიკეს ხელმოწერის შემდეგ.
სინხუას სააგენტოს ფოტო

## ხელი მოაწერეს კომუნიკეს ნ. ს. ხრუშჩოვისა და მაო ძე-დუნის შეხვედრის შესახებ

**პეკინი**, 3 აგვისტო. (საკდესი). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა დღეს შუადღისას პეკინში ხელი მოაწერეს კომუნიკეს შეხვედრის შესახებ, რომელიც მათ შორის გაიმართა 31 ივლისიდან 3 აგვისტომდე.

კომუნიკეს ხელის მოწერის შემდეგ ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და მაო ძე-დუნმა მაგრად ჩამოართვეს ხელი ერთმანეთს.

ხელის მოწერას დაესწრნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ვ. ვ. კუზნეცოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ბ. ნ. პონომარიოვი, რომელნიც ახლავან ნ. ს. ხრუშჩოვს, აგრეთვე სსრ კავშირის დროებითი საქმეთა რწმუნებული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ს. თ. ანტონოვი; ჩინეთის მხრივ — ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები ლიუ შაო-ცი, ჯოუ ენ-ლაი, ჯუ დე, ჩენ იუნი, ლინ ბიაო, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი დენ სიაო-პინი, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები პინ დე-ხუაი, პინ ჯენი, ჩენ ი, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრები ვან ძია-სიანი, ხუან კე-ჩენი, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრობის კანდიდატები იან შან-კუნი, ხუ ციაო-მუ.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირნი პეკინს ჩამოვიდნენ 31 ივლისს „ტუ-104“ თვითმფრინავით.

მათ აეროდრომზე შეხვდნენ: ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარე ამხანაგი მაო ძე-დუნი, ამხანაგები ლიუ შაო-ცი, ჯოუ ენ-ლაი, ჯუ დე, ჩენ იუნი, ლინ ბიაო, დენ სიაო-პინი, პინ დე-ხუაი, პინ ჯენი, ჩენ ი, ვან ძია-სიანი, ხუან კე-ჩენი, იან შან-კუნი, ხუ ციაო-მუ. სტუმრებს აგრეთვე შეხვდა სსრ კავშირის დროებითი საქმეთა რწმუნებული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ს. თ. ანტონოვი.

## ნ. ს. ხრუშჩოვი პეკინიდან გამოემგზავრა

**პეკინი**, 3 აგვისტო. (საკდესი). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი ჩინეთის დედაქალაქში ყოფნის შემდეგ დღეს 14 საათსა და 35 წუთზე ადგილობრივი დროით მოსკოვს გაემგზავრა. მასთან ერთად გაემგზავრნენ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ვ. ვ. კუზნეცოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ბ. ნ. პონომარიოვი, რომელნიც მას ახლავან.

ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი აეროდრომზე გააცილეს ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ ამხანაგმა მაო ძე-დუნმა, ამხანაგებმა ლიუ შაო-ციმ, ჯოუ ენ-ლაიმ, ჯუ დემ, ჩენ იუნმა, ლინ ბიაომ, დენ სიაო-პინმა, პინ დე-ხუაიმ, პინ ჯენმა, ჩენ იმ, ვან ძია-სიანმა, ხუან კე-ჩენმა, იან შან-კუნმა, ხუ ციაო-მუმ. აგრეთვე გააცილა სსრ კავშირის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ს. თ. ანტონოვმა.

* * *

3 აგვისტოს საღამოს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები მოსკოვს ჩამოვიდნენ.

## მშვიდობისა და სოციალიზმის ძალები გაიმარჯვებენ!

**საბჭოთა ხალხი მხურვალედ იწონებს ნ. ს. ხრუშჩოვისა და მაო ძე-დუნის შეხვედრის შედეგებს**

დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ კამოლ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშები და მოსამსახურეები ცნობას, რომ ხელი მოაწერეს კომუნიკეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის შეხვედრის შესახებ.

— ამჟამად, — თქვა საქსოვი წარმოების ოსტატმა კ. ტერმაკოზაშვილმა, — მშვიდობისა და სოციალიზმის ძალები ისე გაიზარდნენ, რომ არის რეალური შესაძლებლობა თავიდან ავიცილოთ ომი. მშვიდობის ბანაკის სათავეში დგანან ისეთი ძლიერი სახელმწიფოები, როგორიც არიან სსრ კავშირი და ჩინეთი. საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამშვიდობო პოლიტიკას, რომლის ახალი გამოხატულებაა კომუნიკე სსრ კავშირისა და ჩინეთის მთავრობათა მეთაურების შეხვედრის შესახებ, მხარს უჭერს და სიმპათიით ეპყრობა კეთილი ნების ყველა ადამიანი. ჩინეთი და სსრ კავშირი მთელი ძალებით იბრძვიან დაძაბულობის შენელებისა და ახალი ომის თავიდან აცილებისათვის, რაც სავსებით შეეფერება ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს. ჩვენ ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს ჩვენი მშობლიური საბჭოთა მთავრობის ყველა ღონისძიებას, რომელთა მიზანია მშვიდობის საქმის განმტკიცება.

— ჩვენი საწარმოს მთელი კოლექტივი,—თქვა მოწინავე მქსოველმა ნ. წიკლაურმა, — სულითა და გულით იწონებს ორი დიდი სახელმწიფოს მეთაურების ნ. ხრუშჩოვისა და მაო ძე-დუნის შეხვედრის შედეგებს. აგრესორებმა უნდა იცოდნენ, რომ თუ მოძალადე იმპერიალისტი მანიაკები გაბედავენ ხალხებს თავს მოახვიონ ომი, მაშინ ყველა მშვიდობისმოყვარე და თავისუფლებისმოყვარე სახელმწიფო და ხალხი მჭიდროდ გაერთიანდებიან და სამუდამოდ მოუღებენ ბოლოს იმპერიალისტ აგრესორებს, შეძლებენ მთელ მსოფლიოში დაამყარონ სამუდამო მშვიდობა.

კამოლის საამქროს ოსტატმა ა. შანავამ განაცხადა:

— ამ დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტის საპასუხოდ ჩვენ უნდა ვიშრომოთ უფრო თავდადებით, უფრო განვამტკიცოთ ჩვენი დიდი სამშობლოს ძალა და ძლიერება, რომელიც მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლის ავანგარდშია. (საქდესი).

## საქართველოდან გაემგზავრნენ არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის წევრები

საქართველოში ორ დღეს იყვნენ სტუმრად არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის წევრები. სტუმრებმა გაიცნეს საქართველოს ძველი დედაქალაქის მცხეთის, არქიტექტურული ძეგლები. ცოცხალი ინტერესი გამოიწვიეს „სვეტიცხოვლის“ ტაძრის, რომელიც შექმნილია მე-11 საუკუნეში, და მე-7 საუკუნის „მცხეთის ჯვარის“ ტაძრის ანსამბლმა. ქალაქ გორში უცხოელი არქიტექტორების ყურადღება მიიპყრო ციხის საფორტიფიკაციო ნაგებობებმა, რომელიც აგებულია შუა საუკუნეებში. გორის რაიონის სოფელ ატენში სტუმრებმა დაათვალიერეს ტაძარი, რომელიც 1300 წლისაა.

არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის წევრები მოსკოვს გაფრინდნენ. (საქდესი).

## რკინიგზელის სრულიად საკავშირო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

2 აგვისტოს მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში გაიმართა საზეიმო სხდომა, რომელიც მიეძღვნა რკინიგზელის სრულიად საკავშირო დღეს.

სხდომა გახსნა გზათა მინისტრმა ბ. პ. ბეშჩევმა. მოკლე სიტყვაში მან ილაპარაკა ახალ წარმატებებზე, რომლებიც მიმდინარე წელს მიღწეულია ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებაში, იმაზე, რომ წარმატებით ხორციელდება რკინიგზის ტრანსპორტის რეკონსტრუქციის ამოცანები, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დასახა.

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი. ხელოვნების ოსტატებს გარდა კონცერტში მონაწილეობა მიიღეს რკინიგზელთა მხატვრული თვითმოქმედების საუკეთესო წარმომადგენლებმა. (საკდესი).

*მშენებლის დღის შესახვედრად*

# რუსთავის მშენებლები სიახლის ძიებაში

რუსთავის რკინაბეტონის ნაწარმის კომბინატის კოლექტივი დღითიდღე აუმჯობესებს მუშაობას, ზრდის პროდუქციის გამოშვებას ნახევარი წლის გეგმა აქ 115 პროცენტით შეასრულეს, თვითეულ მუშაზე შრომის ნაყოფიერება გაზარდეს 19 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულება შემცირებულია 9 პროცენტით, სახელმწიფოსათვის დაზოგილია სამი მილიონი მანეთი.

ამჟამად კომბინატში მუშაობენ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის და ჩვენი ქვეყნის რკინაბეტონის ნაწარმის მოწინავე ქარხნების გამოცდილების დანერგვაზე. უკვე აითვისეს რკინაბეტონის სართულთაშორისი გადახურვის მოწყობილობის გამზადება არმატურის ელექტროგახურვების საშუალებით. ეს სიახლე მოკლე ხანში მასობრივად დაინერგება, რის შედეგად მიღებულ იქნება საარმატურე რკინის 35 პროცენტის ეკონომია. ამ მეთოდის დანერგვის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს კომბინატის არმატურის საამქროს უფროსმა ი. ქვარცხავამ და ამიერკავკასიის მეტალურგშენის ტრესტის მთავარმა ენერგეტიკოსმა დ. ითონაშვილმა, რომლებიც ამ საკითხთან დაკავშირებით მივლინებული იყვნენ მოსკოვის მოწინავე საწარმოებში.

მთელ რიგ სიახლეთა შორის, რაც ამ უკანასკნელ პერიოდში დანერგა კომბინატის კოლექტივმა, ყველაზე დიდმნიშვნელოვანია სველი დაფქვის ათვისება. ცნობილია, რომ რკინაბეტონის ნაწარმის დასამზადებლად საჭიროა ცემენტი დიდი რაოდენობით. კომბინატის კოლექტივმა, პირველ რიგში წიდაბლოკების საამქროს უფროსმა ი. გოგოტიშვილმა, მემონტაჟემ ა. კოპილკომ და მებეტონე გ. ივანიშვილმა მიზნად დაისახეს დამზადებინათ ისეთი ხსნარი, რომელიც ცემენტს შეცვლის. ამოცანა წარმატებით იქნა დაჯილდოვებული. ბრძოლის წიდის და კირის დაფქვის შედეგად მიღებულ იქნა შესანიშნავი თვისებების ნივთიერება, რომელიც საუკეთესო ნედლეული გამოდგა მსხვილი და საშუალო ბლოკების, საბიხრე ფილებისა და სხვა ნაწარმის დასამზადებლად.

სველი დაფქვის მოწყობილობის მონტაჟი წარმატებით დაგვირგვინდა. მის შედეგად მიღებული ეფექტი საშუალებას იძლევა კომბინატის კოლექტივმა დიდი ზოგადენობით დაზოგოს ცემენტი და დაარაჯოს რკინაბეტონის პროდუქციის წარმოება.

კომბინატში მიმდინარე წელს აითვისეს მშრალი დაფქვის პროცესიც. კირისა და ბრძოლის წიდის მშრალად დაფქვის შედეგად მიიღეს ხელოვნური ცემენტი, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა ხსნარის გაიაფება და მაღალი მარკის ცემენტის ეკონომია. მაგალითად, 25-50 მარკის ხსნარისათვის წინათ იხარჯებოდა 300-400 მარკის ცემენტი, რომელიც ახლა სრულიად აღარ არის საჭირო. კომბინატი ამჟამად დღეღამეში უშვებს 25-30 ტონა ხელოვნურ ცემენტს, ხოლო ახლო მომავალში მისი გამოშვება ერთიორად გაიზრდება.

ჩვენს ქვეყანაში ამას წინათ გამოცხადდა კონკურსი მაღალი წნევის რკინაბეტონის მილების დამზადებაზე. კონკურსში ვამარჯვება რუსთაველებმა მოიპოვეს.

როგორც ცნობილია, რკინაბეტონის მილების დასამზადებლად საჭიროა დიდძალი რკინის არმატურა. ამიტომ ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ გაეკეთებინათ ისეთი მილები, რომლებშიც მინიმუმამდე იქნებოდა დაყვანილი რკინის დანახარჯი, ამასთან ისინი უფრო გამძლე ყოფილიყვნენ. ამ სერიოზულ საქმეს საათავეში ჩაუდგნენ ამიერკავკასიის მეტალურგშენის ტრესტის მმართველი ნ. გიორგაძე, რკინაბეტონის ნაწარმის კომბინატის უფროსი შ. ბერიშვილი, დამხმარე საწარმოთა სამმართველოს მთავარი ინჟინერი გ. ჩაჩანიძე, მეტალურგშენის ტრესტის ცენტრალური ლაბორატორიის უფროსი ი. ავადრუსკი, კომბინატის მთავარი ტექნოლოგი მ. ნოზაძე, მილების საამქროს უფროსი ა. მანოშვილი, მებეტონეები ბ. გოცირიძე და ა. აბდულაევი.

კარგახნის საცდელი მუშაობის შემდეგ მიზანი მიღწეულ იქნა. არმატურის ნაცვლად მილებში მოთავსეს 0,7-მილიმეტრიანი რკინის ფურცელი. თუ წინათ რკინის არმატურით დამზადებული მილების სიგრძე 4 მეტრს არ აღემატებოდა, მათ შეძლეს დაემზადებინათ 7 მეტრი სიგრძის მილები, რომელთა სიხეე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე წინათ დამზადებული მილებისა. უფრო მეტიც. ახალი მეთოდით დამზადებული მილები უძლებენ 15 ატმოსფეროს წნევას, მაშინ როცა ძველი მილები უძლებდნენ 4-6 ატმოსფეროს წნევას. ამ სახით დამზადებულმა მილებმა მთლიანად დააკმაყოფილეს კონკურსის პირობები.

რუსთაველთა გამოცდილების გასაცნობად ამ უკანასკნელ ხანს მრავალი სპეციალისტი ჩამოვიდა მოსკოვიდან, შორეული აღმოსავლეთიდან, დემოკრატიული ქვეყნებიდან. ისინი ეცნობიან არა მარტო მილების წარმოების პროცესს, არამედ ყველა იმ სიახლეს, რაც თავიანთ საქმიანობაში აქვთ მასპინძლებს.

რკინაბეტონის ნაწარმთა კომბინატში ამ უკანასკნელ ხანებში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე იქნა დანერგილი. მათ წარმატებით აითვისეს მსხვილი საკედლე ბლოკების გამოშვება. ამისათვის შეიქმნა სპეციალური საამქრო და პოლიგონი. მსხვილი საკედლე ბლოკების გამოყენებამ მშენებლობაზე ხელი შეიწყო მშენებლობის გაიაფებას და ამის სწრაფ წარმოებას.

ახლახან კომბინატში დაამონტაჟეს სპეციალური დანადგარი, რომელიც ქმნის ბლოკში სიცარიელეს. ამის შედეგად დაიზოგება 25-30 პროცენტი ბეტონის ხსნარი, 170-180 ტონით შეცირდება თვითეული შენობის სიმძიმე. ამ სიახლის დანერგვაში დიდი ღვაწლი მიუძღვის კომბინატის მექანიკური საამქროს უფროსს ამხ. ა. ჟურავლიოვს, რომელმაც შექმნა და დაამონტაჟა ბლოკებში სიცარიელის შემქმნელი აგრეგატი.

შემოქმედებითი შრომა ჩქეფს პოლიგონებზე. ადამიანთა შრომის შესამსუბუქებლად განუწყვეტელ მოძრაობენ მექანიზმები. აი პოლიგონიდან გადმოაქვთ საკედლე ბლოკები, იქვე მანქანაზე იტვირთება გადასახურავი ფილები, კიბეები, აივნები, შემობის ესა თუ ის ნაწილი, რომელებსაც მოუთმენლად ელიან ქალაქის სხვადასხვა უბნებში სამშენებლო ობიექტები.

**ზ. მერკვილაძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.



ჭიათურაში უდიდესი მუშაობა სწარმოებს ახალი მაღაროებისა და გამამდიდრებელი ფაბრიკების მშენებლობისათვის. ამ რამდენიმე თვის წინათ მოქმედ საწარმოთა რიგებში ჩადგა მაღარო „ახალი ითხვისი“, რომელიც აღჭურვილია უახლესი სამთო ტექნიკითა და მოწყობილობით. სრული საპროექტო სიმძლავრით ამუშავების შემდეგ ეს მაღარო ჭიათურის მარგანეცის ტრესტის ყველაზე დიდი მაღარო იქნება. **სურათზე:** მარგანეცის გამოზიდვა მაღარო „ახალი ითხვისი“-დან.

ფოტო ვ. ხარატიშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

## 7 თვის გეგმა ვადამდე შეასრულეს

**ზესტაფონი.** (საკ კორ.). ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა, რომელიც ზაპოროჟიეს ფეროშენადნობთა ქარხნის და ალავერდის სპილენძსადნობი კომბინატის კოლექტივებთან სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული, 7 თვის დავალება ვადამდე — 23 ივლისისათვის შეასრულა.

დაზოგილია ელექტროენერგია და ნედლეული. ივლისში წარმატებით იმუშავეს ქარხნის ძირითადმა საამქროებმა (საამქროს უფროსები მ. რაზმაძე, შ. თედოზაშვილი, გ. სიორიძე), რომლებმაც თვის დავალება 29 ივლისისათვის შეასრულეს.

*დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავის აღსანიშნავად*

## მეორთქლმავლეთა ვალდებულებანი

მეორე კვარტალის საწარმოო დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის თბილისის სარორთქლმავლო დეპოს კოლექტივს მიენიჭა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს და პროფკავშირის კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. დეპოელები მიღწეულით როდი კმაყოფილდებიან, დღითიდღე აძლიერებენ შრომის ტემპს.

დეპოს საამქროებში, ცვლებსა და ბრიგადებში ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავის აღსანიშნავად.

დეპოელებმა იკისრეს წლიური გეგმა 7 ნოემბრისათვის შეასრულონ, სადღეღამისო გარბენას გადააჭარბონ 5 კილომეტრით, დაზოგონ 2.000 ტონა საწვავი, აწევითი შეკეთებიდან გეგმის გადამეტებით გამოუშვან 5, ხოლო გარეცხვითი შეკეთებიდან 80 ორთქლმავალი.

ცნობილი ზეინკალი ბ. ხმიადაშვილი, რომელიც 1975 წლის ანგარიშში იძლევა პროდუქციას, საოქტომბრო ვახტზე დადგა და ყოველდღიურ დავალებას 500 პროცენტით ანადღებს.

საოქტომბრო შეჯიბრებაში ჩაებნენ აგრეთვე ზეინკლები პ. მაზმიშვილი, ვ. ნიკოლაიშვილი, ოსტატი შ. ხიზანიშვილი, მემანქანეები ნ. პეტრენკო, ა. კვინიკაძე, ტ. კერვალიშვილი და სხვები.

დეპოელები ნაკისრ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის იბრძვიან.

## მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები სამშობლოს

გარეუბნის რაიონის საკოლმეურნეო სოფლებში დიდი შრომითი აღმავლობაა. კოლმეურნეები, მექანიზატორები ფართოდ ჩაებნენ საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ სამშობლოს მისცენ მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

თავდადებული შრომით სახელი გაითქვა სოფელ თელეთის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელმა კომბაინერმა ი. ჯამალაშვილმა, რომელმაც ათ დღეში უდანაკარგოდ აიღო უხვი მოსავალი. ახლა იგი ემზადება საშემოდგომო ხვნა-თესვისათვის და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი საშემოდგომო ხვნა-თესვა ძირითადად 7 ნოემბრისათვის დაამთავროს.

სოფელ ნორიოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის სახელგანთქმულმა მწველავმა ფ. გამჯაშვილმა ვალდებულება იკისრა თვითეულ საფურაჟე ძროხაზე გეგმით გათვალისწინებულ 3.800 ლიტრის ნაცვლად მიიღოს 5.000 ლიტრი რძე. დღეისათვის უკვე მიღებული აქვს 2.600 ლიტრი.

*„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ*

## „მეჯი ყურადღება სოფელ ფონას“

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის 13 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა კორესპონდენცია, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ სოფელში დღემდე არ არის მაღაზია, სამკითხველო, საექიმო პუნქტი, კეთილმოწყობილია დაწყებითი სკოლის შენობა; მოსახლეობა მოკლებულია კონიმმასახურებას.

პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის ბიურომ იმსჯელა ამ კორესპონდენციის გამო და გაზეთის კრიტიკა სწორად ცნო.

ბიურომ დაავალა სოფელ ფიფის კოლმეურნეობის გამგეობას 20 აგვისტომდე უზრუნველყოს სოფელ ფონის დაწყებითი სკოლის კაპიტალური რემონტის ჩატარება, მაღაზიისა და სამკითხველოსათვის გამოჰყოს 2 ოთახი.

რაიკავშირის გამგეობას დაევალა ივლისის ბოლომდე გახსნას მაღაზია სოფელ ფონაში და მოამარაგოს იგი აუცილებელი საქონლით.

მიღებულია ზომები, რომ სოფელში გაიხსნას სამკითხველო, საფერშლო პუნქტი და მოეწყოს კინოსურათების სისტემატური ჩვენება.

## „ფილიმონის ფერმა“

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო გვატყობინებს, რომ გაზეთ „კომუნისტის“ 1958 წლის 31 მაისის ნომერში გამოქვეყნებულ ფელეტონში „ფილიმონის ფერმა“ მოყვანილი ცნობები წითელწყაროს მილიციის მუშაკის ფილიმონ ბიწაძის უღირსი მოქმედების შესახებ დადასტურდა.

მოქალაქეთა უკანონოდ დაკავებისა და მათი ფიზიკური შეურაცხყოფისათვის, აგრეთვე ღორებით ვაჭრობის ხელშეწყობისათვის ფილიმონ ბიწაძე მოხსნილია თანამდებობიდან.

## დრო გადის, სილოსისა და თივის დამზადება ჭიანურადება

ქსნის ხეობის სათავეები განთქმულია საძოვრებით. სოფლების ბაგინის, ქარჩოხის, უკანამხარის მთებზე გაშლილია ბუნებრივი სათიბები და მდელოები. ზაფხულობით აქ ცხვართან ერთად მსხვილფეხა რქიანი პირუტყვიც არის. აქ მუშაობენ მცელავები, იდგმება თივის ზვინები.

ლენინგორის რაიონის კოლმეურნეობათა პირუტყვის საკვებში თივას და სილოსს 80 პროცენტზე მეტი უკავია.

წელს ბალახი სათიბად დაგვიანებით შემოვიდა. მოსალოდნელი იყო, რომ კოლმეურნეობები თივის აღებას ორგანიზებულად შეუდგებოდნენ, როგორც მოიქცნენ, მაგალითად, სოფლების წირის, წუბენის, ზაყორის კოლმეურნეები, რომლებმაც ძირითადად დაამთავრეს თივის აღება და სილოსის ჩადება.

მაგრამ საერთოდ კი საკვების დამზადება ლენინგორის რაიონში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. მიღელაანის, ბალაანის, პავლიანის, ლომისის, ცხრამეულას და მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში თივის აღების საქმე თვითდინებაზე მიუშვეს. ეს თვითდამშვიდება რაიონული ცენტრიდან იწყება. რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე გ. ასათიანი, სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროსი ს. დარსაველიძე ახლაც კი გაიძახიან, თივის აღება ჯერ ადრეაო. მთაში კი ბალახი გადამწიფებას იწყებს.

თივისა და სილოსის დამზადება შეუწყნარებლად ჭიანურდება კორინთის სასოფლო-საბჭოს კოლმეურნეობებში. ქურთის კოლმეურნეობამ გეგმით წელს უნდა დაამზადოს 275 ტონა-სილოსი და თივად აიღოს 46 ჰექტარი ბუნებრივი ბალახი.

მაგრამ ახლა ქურთაში მეტად არასახარბიელო მდგომარეობაა. კოლმეურნეობამ გარეული ბალახის სილოსი მხოლოდ 60 ტონა დაამზადა, თივა აღებულია 25 ჰექტარზე. საინტერესოა, რას ფიქრობს ქურთის კოლმეურნეობის გამგეობა, რით უნდა შეასრულოს სილოსის დამზადების დავალება, როცა კოლმეურნეობას სიმინდი მხოლოდ 6 ჰექტარზე უთესია? ამ სოფელში მუშახლის სიმცირეზე წუწუნებენ, თუმცა სოფელში არიან ახალგაზრდები, რომლებიც უსაქმოდ ატარებენ დროს.

სოფელ ალევის კოლმეურნეობაში სილოსის დამზადების გეგმა შესრულებულია მხოლოდ 30 პროცენტით, თივისა — 32 პროცენტით. ამ კოლმეურნეობაში შარშანაც უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ პირუტყვისათვის საკვების დამზადებას და წველადობაშიც ჩამორჩნენ. ქურთის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ნ. ბერიანიძე) წველადობამ წელს შარშანდელთან შედარებით თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 120 ლიტრით იკლო, ხოლო ალევის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ენ. ოდიშვილი) 260 ლიტრით, მაშინ როცა რაიონის სხვა კოლმეურნეობებთან ერთად ქურთელებმა და ალეველებმა წელს გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. თუმცაკი საკვები ბაზა არ შექმნეს, ამ კოლმეურნეობებში წველადობის შარშანდელ დონესაც ვერ მიაღწევენ.

საერთოდ რაიონში საგანგაშო მდგომარეობაა წველადობის მხრივ. უყურეს მშრალ ციფრებს და ხედავ, რომ წველადობაში ზრდა არ არის. პირიქით, 22 კოლმეურნეობამ წველადობა შეამცირა. რაიონში 25 ივლისისათვის ბუნებრივი სათიბებიდან თივის აღების დავალება შესრულებული იყო მხოლოდ 63,3 პროცენტით, სილოსის ჩადებისა — 38,8 პროცენტით. პირუტყვისათვის საკვების დამზადების დარგში ასეთი ჩამორჩენა შეუწყნარებელია.

**ი. თედიაშვილი,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

აბრეშუმის ჯიშთა გამოცდის გურჯაანის პუნქტი აწარმოებს თეთრპარკანი პერსპექტიული ჯიშების შესწავლასა და წარმოებაში დანერგვას. **სურათზე:** აბრეშუმის ჯიშთა გამოცდის გურჯაანის პუნქტის გამგე მ. სესიკაშვილი (მარცხნივ) და ლაბორანტი რ. ახოიშვილი ამოწმებენ ახალი პერსპექტიული ჯიშის „კახურ-იმერულის“ აბრეშუმის პარკის ხარისხს.

ფოტო ი. ელიგარაშვილისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

*პარტიული ცხოვრება*

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებისათვის

**ვ. ურუშაძე,**
საქართველოს კპ საჩხერის რაიკომის პირველი მდივანი.

კომუნისტური პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი დიდ ღონისძიებებს ახორციელებენ სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის. ამის ახალი ნათელი დადასტურებაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილება „სავალდებულო ჩაბარებისა და მტს-ების მუშაობის ნატურანაზღაურების გაუქმების შესახებ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი წესის, ფასებისა და პირობების შესახებ“, რასაც საჩხერის რაიონის მშრომელები მზარდი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობით შეხვდნენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ საკოლმეურნეო წყობილების განვითარებაში დაწყებულ ახალ ეტაპს ახასიათებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების უმნიშვნელოვანესი დარგების სწრაფი ზრდა. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები განმტკიცდნენ კვალიფიციური კადრებით, მნიშვნელოვნად გაძლიერდა სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური ბაზა. შემოღებულ იქნა დაგეგმვის ახალი წესი, კოლმეურნეობებს უთლება მიეცათ შეიტანონ აუცილებელი ცვლილებები სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაში. სახელმწიფომ სოფლის მეურნეობას დიდი დახმარება აღმოუჩინა.

უკანასკნელ ხანებში საჩხერის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა მასებში პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის გაუმჯობესების შედეგად მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის საქმეში.

პარტიის რაიონული კომიტეტი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ახლა უფრო საფუძვლიანად და ღრმად სწვდებიან სამეურნეო და პოლიტიკური მუშაობის აქტუალურ საკითხებს, მეტ პრინციპულობასა და მონდომებას იჩენენ მათს წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საქმეში. რაიონული კომიტეტის პლენუმმა სპეციალურად განიხილა საკითხი „საჩხერის რაიონში მევენახეობისა და მეხილეობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ“. პლენუმის მიერ მიღებულმა დადგენილებამ ფართო მხარდაჭერა ჰპოვა კოლმეურნეობებში.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების მიერ გაწეული ფართო ორგანიზატორული მუშაობის შედეგად სერიოზული ნაბიჯები იქნა გადადგმული სოფლის მეურნეობის ამ დარგების განვითარებისათვის. კოლმეურნეობებმა აგროტექნიკურ ვადებში დაამუშავეს ვენახებისა და ვაზის სადედეების მთელი ფართობი. შემოღებულ იქნა 485 ჰექტარი ვენახები, 11,6 ჰექტარზე გაშენებულია ვაზის ახალი სადედეები. მიმდინარე წლის გაზაფხულზე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 30 ჰექტარისა 33,7 ჰექტარ ფართობზე გაშენდა ახალი ვენახები. დიდ ფართობზე გაშენდა ხეხილის ახალი ბაღებიც.

საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციები განსაკუთრებული სერიოზულობით მუშაობენ მარცვლეულის წარმოების გადიდებისათვის. მიუხედავად ამინდის ცუდი პირობებისა, რაიონში საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. ნაცვლად 5.100 ჰექტარისა დაითესა 5.457 ჰექტარი. გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს ნათესების დამუშავება. ახლა რაიონის პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, ყველა მშრომელის ყურადღება იქითკენ არის მიმართული, რომ მიიღონ სიმინდისა და სხვა კულტურების უხვი მოსავალი, დაამზადონ მეტი საკვები მეცხოველეობისათვის.

პარტიის რაიონული კომიტეტი სისტემატურ დახმარებასა და კონტროლს უწევს საზოგადოებრივ მეცხოველეობას. ამ მიზნით თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მეცხოველეობის ფერმების გამოცდილი კადრებით დაკომპლექტებას. ფერმებში და საძოვრებზე მოეწყო წითელი კუთხეები სათანადო ლიტერატურითა და თვალსაჩინოებით, დამატებით გამოიყო აგიტატორები, რომლებიც ყოველდღიურად ესაუბრებიან მეცხოველეობის მუშაკებს მათთვის საინტერესო საკითხებზე. მიღებულ დადგენილებათა შესრულებისადმი სისტემატურმა კონტროლმა, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სამეურნეო საქმიანობასთან უნარიანად შეხამებამ დადებითი შედეგი გამოიღო. მნიშვნელოვნად გადიდდა რძის საერთო პროდუქციის წარმოება. სხვიტორის, ორღულის, ჩიხის, ირტავაზის, კალვათის კოლმეურნეობები წველადობის წლიურ დავალებას პირველი ოქტომბრისათვის შეასრულებენ. უკეთესი მდგომარეობაა მეფრინველეობისა და მეღორეობის განვითარების საქმეში.

ჩვენს მუშაობაში პირველი დადებითი მაჩვენებლები იმის შედეგია, რომ პარტიის რაიკომი თავის ყოველდღიურ საქმიანობაში ეყრდნობა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, პარტიულ აქტივს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პარტიული აქტივის სწავლებას. პარტბიუროების მდივნებისათვის რეგულარულად ეწყობა სემინარები და თათბირები პარტიული მუშაობის როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საკითხებზე.

რაიკომის ბიურომ შეისწავლა საზოგადოებრივი მეურნეობის წმყვან დარგებში კომუნისტთა ძალების განაწილების საკითხი. გამოირკვა, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ იყო. ეს საკითხი განხილულ იქნა ბიუროს სხდომაზე. დაისახა ღონისძიებანი, რომელთა მიხედვით პარტიული და კომკავშირული ძალები გონივრულად გაანაწილეს საკოლმეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებზე. ბრიგადებსა და ფერმებში, შეიქმნა 83 პარტიული ჯგუფი. პარტჯგუფორგების დახმარების მიზნით მაისში მოეწყო პარტიული ჯგუფების ორგანიზატორებისა და პარტიული ორგანიზაციების მდივნების ერთდღიანი თათბირი-სემინარი. ამის შემდეგ პარტიის რაიონული კომიტეტის ბიურომ სპეციალურად განიხილა საკითხი „რაიონის კოლმეურნეობებში პარტიული ჯგუფების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“ და დასახა სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ყველა ამ ღონისძიების განხორციელებამ მნიშვნელოვნად აამაღლა პარტიული ჯგუფების ბრძოლისუნარიანობა, რის შედეგად ახლა ისინი უფრო ღრმად სწვდებიან საზოგადოებრივი მეურნეობის ეკონომიკას. ოპერატიულად წყვეტენ მათ წინაშე მდგომ ამოცანებს.

წინა წლებთან შედარებით წელს უკეთ მოაწყეს პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა სხვიტორის აკაკი წერეთლის სახელობის, ორღულის ჟდანოვის სახელობის, ჩიხის პირველი მაისის სახელობის, სავანის სტალინის სახელობის და ზოგიერთი სხვა კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციებმა.

სოფელ სხვიტორის აკაკი წერეთლის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციაში (პარტბიუროს მდივანი ბ. ასანიძე) ახლა უფრო მაღალ პოლიტიკურ დონეზე ეწყობა პარტიული კრებები და ბიუროს სხდომები. კომუნისტები კრებებზე მსჯელობენ პარტიული და სამეურნეო მუშაობის აქტუალურ საკითხებზე. პარტიული ორგანიზაცია ქმედითად ახორციელებს კონტროლს კოლმეურნეობის გამგეობის სამეურნეო საქმიანობისადმი, აქტიურად რაზმავს კომუნისტებს და კოლმეურნეებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის საბრძოლველად. კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე ი. აბრამიშვილი) და პარტიული ორგანიზაცია უნარიანად ხელმძღვანელობენ ბრიგადებსა და რგოლებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას, დიდ ყურადღებას აქცევენ მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას. კოლმეურნეობამ აგროტექნიკურ ვადებში ჩაატარა საგაზაფხულო კულტურების თესვა და ნათესების დამუშავება. სანიმუშოდ არის მოვლილი ვენახები, ხეხილის ბაღები. მოსავალს კარგი პირი უჩანს. თვალსაჩინო მიღწევებია მოპოვებული საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლების საქმეშიც.

მსგავსი მაგალითების მოყვანა შეიძლება აგრეთვე ორღულის ჟდანოვის (პარტბიუროს მდივანი ა. შუკაკიძე, გამგეობის თავმჯდომარე ი. ჭიღლაძე), ჩიხის „პირველი მაისის“ (პარტბიუროს მდივანი მ. იაკობაშვილი, გამგეობის თავმჯდომარე ა. ჭიღლაძე) და სხვა კოლმეურნეობებიდან.

მთელ რიგ კოლმეურნეობათა სამეურნეო საქმიანობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ზოგან მოისუსტებდა შრომის დისციპლინა, დაბალი იყო ცალკეული კულტურების მოსავლიანობა. სერიოზული ნაკლოვანებები გამოვლინდა მეცხოველეობის განვითარების საქმეშიც. პარტიის რაიკომის ბიურომ სპეციალურად განიხილა რაიონის 17 კოლმეურნეობის სამეურნეო მუშაობის მაჩვენებლები და მიიღო სათანადო დადგენილება. რაიონის 9 კოლმეურნეობაში, სადაც სერიოზული ნაკლოვანებანი გამოვლინდა, ადგილზე პრაქტიკული დახმარების გასაწევად მივლინეთ ბიუროს წევრები და გამოცდილი მუშაკები პარტიულ აქტივიდან. ამ ღონისძიებამ კარგი შედეგი გამოიღო და ის კოლმეურნეობები (ჭალოვანი, ქორეთი, ქალვათა, სარეკი, ბაჯითი და სხვა), რომლებიც წლების მანძილზე ჩამორჩებოდნენ, ახლა გაცილებით უკეთ მუშაობენ, აგროტექნიკურ ვადებში ამუშავებენ ნათესებს და შედეგად მოსავალსაც კარგ პირი უჩანს.

ყოველი პოლიტიკური და სამეურნეო წარმატება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ მეურნეობის გადამწყვეტ უბნებზე რამდენად სწორად იქნება განაწილებული კადრები და როგორ მოაყობს მათდამი დახმარებას რაიკომი. პარტიის რაიკომს გადაწყვეტილი აქვს მომავალში კიდევ უფრო გააუმჯობესოს და სრულყოფილ გახადოს კადრებთან მუშაობა, სწორად შეარჩიოს ისინი და ეფექტიურად ჩააბას რაიონის წინაშე მდგომი ამოცანების პრაქტიკულ განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ახლა, როცა მთელი საბჭოთა ხალხი, მათ შორის საქართველოს მშრომელები თავდადებულ მუშაობას ეწევიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, საჩხერის რაიონის კომუნისტები, ყველა მშრომელი ყველაფერს აკეთებენ, რომ გადაჭრით აამაღლონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა, გაადიდონ შრომის ნაყოფიერება, შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება. ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიმრავლის შექმნის საქმეში.

# ქართულმა ცეკვამ მოხიბლა ევროპა

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მონაწილენი თბილისის ვაგზალზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

★ ★ ★

## სახელმოხვეჭილნი დაბრუნდნენ

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა კარგად იციან, თუ რა დიდი მოწონება დაიმსახურა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულმა ანსამბლმა იტალიასა და ჩეხოსლოვაკიაში. ამ სახელმწიფოების გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე დაბეჭდილი აღფრთოვანებული რეცენზიები და წერილები რომ მოგროვდეს, მოზრდილი წიგნი გამოვიდოდა...

გუშინ საღამოს მოსკოვიდან თბილისს ჩამოვიდა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი. იმ მატარებლის შესახვედრად, რომელსაც ანსამბლის მონაწილენი მოჰყავდა, ვაგზალზე შეკრებილიყო მრავალი მადლიერი თბილისელი—მუშები, ინტელიგენცია, სტუდენტები, მოსწავლეები, რათა ამით ერთხელ კიდევ გამოეხატათ ის დიდი სიყვარული და პატივისცემა, რომელსაც მთელი ქართველი ხალხი გრძნობს ამ შესანიშნავი მხატვრული კოლექტივისადმი, იმ კოლექტივისადმი, რომელმაც შორს გაუთქვა სახელი ქართველი ხალხის ეროვნულ კულტურას.

თბილისის რკინიგზის სადგურზე შევხვდით უცხოელი კორესპონდენტებისა და რეპორტიორებისაგან „დაღლილ“ ანსამბლის ერთ-ერთ ხელმძღვანელს—საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს, სტალინური პრემიის ლაურეატს ილიკო სუხიშვილს. აქვე იყო ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ჩვენი აქტიური კორესპონდენტი იტალიიდან, აპოლონ ყიფიანი. ვთხოვეთ ილიკო სუხიშვილს ორიოდე სიტყვით მოეთხრო ჩვენი მკითხველებისათვის იტალიასა და ჩეხოსლოვაკიაში ანსამბლის გასტროლებზე.

—უპირველეს ყოვლისა, მთელი ანსამბლის სახელით ქართველ ხალხს თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა ვუთხრა „გამარჯობა, საყვარელო ხალხო, რომელმაც ჩვენი ანსამბლის ყოველ წევრს მოგვეცი იმდენი ძალა და უნარი, რომ უცხოეთში კიდევ უფრო შეეყვარებინათ შესანიშნავი ქართული ხელოვნება“. როგორც შევიტყეთ, საქართველოს გაზეთები სისტემატურად აშუქებდნენ ანსამბლის გასტროლების მიმდინარეობას. ამიტომ, ჩემის აზრით, საჭირო არ არის აქ დაწვრილებით შევჩერდე იმაზე, თუ რას წერდნენ იტალიური და ჩეხური გაზეთები ან როგორ გვხვდებოდნენ მაყურებლები.

ეს ჩვენი ბოლო გასტროლები ევროპაში ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების ზეიმი იყო. იტალიაში საერთოდ ცეკვები არ ჰყვარებიათ, მაგრამ ქართულმა ცეკვებმა, როგორც ამის შესახებ კარგად წერდა იტალიელი მწერალი ალბერტო მაკიაველო, იტალიელები ერთხელ კიდევ დაარწმუნა იმაში, თუ როგორ გადაგვარდა იტალიური ეროვნული ქორეოგრაფია. საინტერესოა ერთი ფაქტიც — „ლასკალას“ საოპერო თეატრის მთავარი მხატვარი ბენუა თითქმის ჩვენს ყველა კონცერტს დაესწრო და გულმოდგინედ იხატავდა ჩვენს ცეკვებს. ჩვენს შეკითხვაზე, თუ ფოტოგრაფიის ხანაში რა საჭიროა ამდენი დროის დახარჯვა, მან ღიმილით გვიპასუხა — თქვენ, ქართველები, ჯადოსნურად მოძრაობთ და სწორედ ამ მოძრაობებს ვხატავო.

იტალიაში ჩვენს ყოველ კონცერტზე 6-7 ცეკვას, როგორც წესი, მაყურებელი ყოველთვის გვამეორებინებდა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ხშირად კონცერტის დამთავრების შემდეგ მაყურებლები არ იშლებოდნენ, თეატრთან გველოდებოდ ნ ენ, აინტერესებდათ, „როგორნი ვიყავით ცხოვრებაში“. შემდეგ ხელში აგვიტაცებდნენ და ისე მიგვიყვანდნენ ხოლმე მანქანებამდე.

იტალიაში სულ 34 კონცერტი გავმართეთ, რომლებსაც ასი-ათასამდე მაყურებელი დაესწრო, ხოლო ჩეხოსლოვაკიაში — ოცი კონცერტი. გამოვედით პრაღაში, ბრატისლავაში, ბრნოში, კოშიცეში, კარლოვი ვარში, პრეშოვოსა და სხვა ქალაქებში. ჩეხოსლოვაკიაში ჩვენი კონცერტები 140 ათასმა კაცმა ნახა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მაყურებელთა მოთხოვნილება იმდენად დიდი იყო, რომ კონცერტები იმართებოდა სტადიონებზე და ერთდროულად ესწრებოდა ხოლმე რაი ათასი კაცი, რომლებიც ყოველი კონცერტის დამთავრების შემდეგ ფეხზე მდგომნი მჭუხარე ტაშით გვიმასპინძლდებოდნენ და გაიძახოდნენ: „გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და ჩეხოსლოვაკელი ხალხის მეგობრობას!“, „გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“.

ჩეხოსლოვაკიაში კონცერტები 29 ივლისს დავამთავრეთ, მაგრამ იქაურმა კინომუშაკებმა მეორე დღეს მთელი ჩვენი პროგრამა გადაიღეს, ასე, რომ ახლა ეკრანზე ვაგრძელებთ ჩვენს გასტროლებს ჩეხოსლოვაკიაში. პირველ აგვისტოს უკვე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში ვიყავით.

აქ შევიტყეთ, რომ უცხოეთის სხვადასხვა სააგენტოების მიერ მიწვეული ვართ ამერიკისა და სკანდინავიის ქვეყნებში. მაგრამ, თუ შეიძლება ითქვას, ჩვენ დედამიწას „ცეკვით შემოვუარეთ“ და, ცოტა არ იყოს, დაღლილი ვართ. ჩემის აზრით, ანსამბლი ერთ თვეს დაისვენებს.

ამ გასტროლების დროს ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, თუ რა დიდია ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობის ძალა, რა ძლიერია უბრალო ადამიანების ლტოლვა მშვიდობისაკენ.

**ბ. ბახტურიძე.**

## ამაღელვებელი ცეკვები

ქართველები თავისი მგზნებარე ტემპერამენტით პირველი წუთებიდანვე იპყრობენ მაყურებელს. პირველივე ცერულის დროს, რომლითაც იხსნება კონცერტი, ციცხლოვან ვაქაცებთან და ტანწერწეტ ქალიშვილებთან ერთად სცენაზე შემოიჭრებიან მედოლეები და მოცეკვავე მუსიკოსები. გაოცებული მაყურებელი ტაშით რამდენჯერმე აწყვეტინებს ცეკვას — იმდენად დიდი და ალტაცების გამომწვევია პირველი შთაბეჭდილება. უძველესი ცეკვა „ხორუმი“ გვაგონებს სლოვაკურ „გაიდუხებს“. ჯერ არ გათავებულა ლირიკული საცეკვაო დუეტი, რომ მისგან მიღებულ შთაბეჭდილებას უკვე ფარავს ვაჟების ხმლებითა და შუბებით შესრულებული ელვისებური „ხევსურული“. შორეული აზიის ეშხი მოაქვს ჩვენამდე მშვენიერ „სამაიას“. შემდეგ სცენაზე გათამაშდება იუმორისტული სცენა, ორი ჭორიკანას ცეკვა „ხაბარდა“. მაგრამ აი გამოდის საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნინო რამიშვილი, რომელიც ვაჟთა ჯგუფთან ერთად ასრულებს მომხიბლავ ცეკვას მანდილებით. ლირიკულობითა და მომხიბვლელობით აღსავსე თეთრკაბიანი მონარნარე ქალების ფერხული — ჯეირანს სწრაფად ცვლის მხედრული, სადაც ვაჟთა გუნდი უბრწყინვალესი ტექნიკით ასრულებს ტიპიურ ქართულ საცეკვაო ილეთებს.

პროგრამის მეორე განყოფილება იხსნება ოსტატურად შესრულებული მინიატიურით და მომიკური ეტიუდით, რომელიც აგებულია ძველებური ქართული თამაშის „ლელოს“ მოტივებზე... საცეკვაო სიუიტაში „ძველი თბილისი“ ერთმანეთს ცვლიან ხალხური ცეკვა — დავლური, ხილის გამყიდველი ქინტოს იუმორისტული ცეკვა და სახუმარი ჭიდაობა. კონცერტის დასასრულს წარმოდგენილია საქორწილო ფერხული — ვაჟთა საცეკვაო შეჯიბრება, რომელნიც საოცარი აკრობატულობით ცეკვავენ ცერებსა და მუხლებზე. ანსამბლის პროგრამა გვაძლევს მამაცი და ამაყი ქართველი ხალხის ხასიათის სურათს.

მთელი წარმოდგენა აღსავსეა თანამედროვე საქართველოს ცხოვრებით — თავისუფალი ადამიანებისა და უახლესი ტექნიკის დღევანდელი სოციალისტური ქვეყნის ცხოვრებით, რომელმაც შეინარჩუნა თავისი ხალხური ხელოვნების საგანძური დღევანდელი და მომავალი დღეებისათვის.

**დუშან გავლიჩეკი,**
„რუდე პრავო“, 8-VII-58 წ.

## ჩვენ ტაშს ვუკრავთ ქართველებს

საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებულ სახელმწიფო ანსამბლს ჩვენ კარგა ხანია ვიცნობთ, ჯერ კიდევ ამ ხუთი წლის წინ ვნახეთ პრაღაში. ამიტომ სრულებითაც არ გვაკვირვებდა ის დიდი წარმატება, რომელიც ანსამბლს საფრანგეთსა და იტალიაში ხვდა. ჩვენთვის ბუნებრივი და გასაგები იყო იქაური გაზეთების აღფრთოვანება.

ამ ბოლო დროს ჩვენში ხალხური ცეკვისა და სიმღერის რამდენიმე უცხოური ანსამბლი იყო. ჩამოვიდნენ მაკედონელები, ფრანგები, რუმინელები, იტალიელები, ავსტრიელები, მაგრამ ქართველებმა ყველას გადააჭარბეს.

ქართველი მოცეკვავენი აჯადოებენ მაყურებელს. ჩაუქი ვაქაცები ხშირად უფრო აკრობატები არიან, ვიდრე მოცეკვავენი. მათ აქვთ შესანიშნავი ტექნიკა, დიდი შინაგანი ცეცხლი და არაჩვეულებრივად მოძრავნი არიან, მათ გაანგარიშებული აქვთ ყოველი წამი და ყოველი სანტიმეტრი. ღმერთმა უწყის, როგორ ახერხებენ ამას, როცა ჩანჩქერივით შმაგი „ხევსურულის“ დროს ერთმანეთს ერკინებიან ხმალამოღებულნი.

ქართველ მოცეკვავეთა დიდებული სამოსი, მდიდრული და ეფექტური ქორეოგრაფიული ოსტატობა და იშვათი ეროვნული მუსიკა ქმნიან იმ საოცარ სანახაობას, რომელსაც არცთუ ისე ხშირად ვნახულობთ ხოლმე.

...ხალხური ხელოვნების ის დიდი გზა, რომლითაც საქართველოს ანსამბლი მიდის, ნამდვილად რთული გზაა. მაგრამ ქართველების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი შეუმცდარად მიაბიჯებენ წინ და მსოფლიოს აოცებენ.

**ვლადისლავ სტანოვსკი,**
გაზეთი „კულტურა“, № 58.

# გოლო მოვუღოთ აგრესიას აღმოსავლეთში!

### ინდოეთის დელეგაციის წევრთა—სტოკჰოლმის კონგრესის მონაწილეთა, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტისა და აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის ერთობლივი განცხადება

ინდოეთის დელეგაციის წევრები — განიარაღებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მსოფლიო კონგრესის მონაწილენი, რომლებიც მოსკოვში იმყოფებიან საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის მოწვევით, 1 აგვისტოს შეხვდნენ საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტისა და აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის წარმომადგენლებს. მეგობრული შეხვედრის დროს მოხდა აზრთა გაზიარება თანამედროვე საერთაშორისო ვითარების აქტუალურ საკითხებზე.

სტუმრებს გულთბილად მიესალმა საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ს. ტიხონოვი, რომელმაც აღნიშნა ინდოეთის დელეგატების დიდი წვლილი სტოკჰოლმის კონგრესის წარმატების საქმეში. მან ხაზგასმით აღნიშნა აგრეთვე იმ ბრძოლის უდიდესი როლი და მნიშვნელობა, რომელსაც ინდოეთის მშვიდობის მომხრენი ეწევიან ატომური ომის საფრთხის წინააღმდეგ, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის.

ინდოეთის დელეგაციის წარმომადგენლებმა დევან ჯამან ლალმა, რომეშ ჩანდრამ, დოქტორმა რედიმ და სხვა დელეგატებმა გაუზიარეს დამსწრეთ სსრ კავშირში ყოფნისას მიღებული შთაბეჭდილებანი და გამოთქვეს მთელი რიგი წინადადებანი, რომ საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის მშვიდობის მომხრეებმა გააფართოონ კონტაქტები და ერთობლივი მოქმედება მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს ერთობლივი განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

„ჩვენ, ინდოეთის დელეგატები, რომლებიც მონაწილეობას ვიღებდით განიარაღებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის სტოკჰოლმის კონგრესის მუშაობაში, და საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტისა და აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის წარმომადგენელნი მხურვალედ ვუჭერთ მხარს სტოკჰოლმის კონგრესის გადაწყვეტილებებს და ყოველი ღონით ვეცდებით განვახორციელოთ ისინი, რათა დავრაზმოთ ყველა ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი ახალი მსოფლიო ომის მოსალოდნელი საფრთხისაგან კაცობრიობის დასაცავად, საფრთხისაგან, რომელიც რეალური გახდა ახლო და შუა აღმოსავლეთში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის შეიარაღებული ძალების აგრესიის შედეგად.

ჩვენ, ინდოელი ხალხისა და საბჭოთა ხალხის წარმომადგენელნი, მრისხანედ ვგმობთ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ინტერვენციას ლიბანსა და იორდანიაში, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ მიღებული ნორმების დარღვევას.

ჩვენ მოვითხოვთ დაუყოვნებლივ გაყვანილ იქნან უცხოეთის შეიარაღებული ძალები ამ ქვეყნებიდან და საშუალება მიეცეთ მათ ხალხებს თავისუფლად აირჩიონ მმართველობის ფორმა, რომელიც შეესაბამება მათ მისწრაფებებსა და სურვილებს.

ჩვენ მთლიანად ვუჭერთ მხარს სტოკჰოლმის კონგრესის მიერ მიღებულ დოკუმენტებს, რომლებიც მოითხოვენ დიდი საჯელმწიფოების მთავრობათა მეთაურების თათბირის დაუყოვნებლივ მოწვევას იმისათვის, რომ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით თავიდან ავიცილოთ საერთაშორისო კონფლიქტის საფრთხე, რომელიც მსოფლიოს მოელის.

ახლა, როცა მსოფლიოს საფრთხე ემუქრება, ყველა კეთილი ნების ადამიანი, ყველა ორგანიზაცია, მიუხედავად პოლიტიკური მრწამსისა, მოვალეა გადაჭრით გამოვიდნენ სტოკჰოლმის კონგრესის გადაწყვეტილებათა მხარდასაჭერად და მოუწოდონ ყველა ქვეყნის ხალხებს, რომ მათ ბოლო მოუღონ აგრესიას ახლო და შუა აღმოსავლეთში, ბოლო მოუღონ ცივ ომს, კოლონიალიზმს, რასობრივ დისკრიმინაციასა და უცხოეთის ჩარევას დამოუკიდებელი ქვეყნების საქმეებში.

ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ პანჩა შილას ხუთი პრინციპი, რომლებიც მიიღეს აღმოსავლეთის დიდმა სახელმწიფოებმა ჩინეთმა და ინდოეთმა და რომლებიც გაიზიარა საბჭოთა კავშირმა, აგრეთვე სხვა ქვეყნებმა, საიმედო გზაა მშვიდობის მიღწევისათვის, ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფისათვის.

ჩვენ მოწოდებით მივმართავთ მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებს დარაზმონ თავიანთი ქვეყნების საზოგადოებრიობა იმისათვის, საბრძოლველად, რომ მათი მთავრობები ახორციელებდნენ მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, იბრძოდნენ გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, ატომგულის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ შეწყვეტისა და იმისათვის, რომ ყველა ხალხს მიეცეს უფლება თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედი.

საბჭოთა ხალხისა და ინდოელი ხალხის, მათი მთავრობების მეგობრობამ და თანამშრომლობამ მშვიდობისათვის შეიძლება დიდი როლი შეასრულოს აგრესიის ძალების ალაგმვაში. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენი ქვეყნების ყველა ორგანიზაცია განახორციელებს ერთობლივ მოქმედებას იმ უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც ახლა დასახულია კაცობრიობის წინაშე.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობის საქმე, არ დაზოგონ თავიანთი ძალები, რათა ბოლო მოუღონ აგრესიას ახლო და შუა აღმოსავლეთში, რათა გზა გადაეღობონ გამანადგურებელ ატომურ ომს.

დაე ყველგან გაიმარჯოს მშვიდობისა და ხალხთა თანამშრომლობის სულისკვეთებამ!

# მოჩმახული პრეზენტაცია

### საკადესის მიმოხილვა

სახელმწიფო მდივანმა ჯონ ფ. დალესმა თავის უკანასკნელ პრესკონფერენციაზე გამოთქვა რწმენა, რომ უმაღლესი დონის თათბირი გაფანტავდა, როგორც მან თქვა, ყალბ მტკიცებას, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ან ინგლისი აგრესიას ახორციელებენ შუა აღმოსავლეთში. მეორე მხრივ, დალესის აზრით, თათბირი ცხადყოფდა, რომ იქ არის „საფრთხე არაპირდაპირი აგრესიისა“, რომელსაც ესოდენ ხშირად გმობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია.

მაშ ასეთ შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატები ახლო და შუა აღმოსავლეთში კონფლიქტის წარმოშობის პირველი დღიდანვე რატომ არიდებენ ჯიუტად თავს იმას, რომ მოიწყოს მთავრობათა მეთაურების თათბირი ამ რაიონში შექმნილი მდგომარეობის განსახილველად? ამ კითხვის პასუხი შეიძლება ვიპოვოთ თუნდაც ამერიკის პრესის ზოგიერთი გავლენიანი ორგანოს ფურცლებზე. სწორედ იმიტომ არიდებენ თავს, რომ ასეთ თათბირზე ვაშინგტონმა პასუხი უნდა აგოს აგრესიის გამო, ამასთან პირდაპირი და სრულიადაც არა არაპირდაპირი აგრესიის გამო.

ბ-ნმა დალესმა პრესკონფერენციაზე თავი აარიდა პასუხს კითხვაზე, თუ როგორ აპირებს იგი დამტკიცოს, რომ მოხდა არაპირდაპირი აგრესია. და მართლაც, რის თქმა შეეძლო მას? გაემეორებინა ძველი ზღაპარი, თითქოს ლიბანისა და იორდანიის ამბები „გარედან შეღწევის“ შედეგი ყოფილიყოს? მაგრამ მას შემდეგ, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა ჯგუფმა, რომლის ლიბანში გაგზავნას ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამაც მისცა ხმა, თავის ორ მოხსენებაში უარყო მტკიცება, რომ ამერიკის ჯარების გადასხმამდე მოხდა სხვა სახელმწიფოთა რაიმე ჩარევა ამ ქვეყნის საშინაო საქმეებში, დალესსაც კი არ მოუბრუნდა ენა გაემეორებინა ეს სიცრუე. და აი ამერიკა-ინგლისის აგრესიის გასამართლებლად ახლა მას გამოაქვს სხვა ვერსია: ახლო და შუა აღმოსავლეთში მოხდა არაპირდაპირი აგრესია „სამოქალაქო ომის გარედან გაღვივების“ ფორმით. ამრიგად, სახელმწიფო მდივანმა თავისთვის შეუმჩნეველად აღიარა ახლა, რომ ლიბანის ამბები მანამდე, სანამ ლიბანში ინტერვენტების ჯარები არ შეიჭრნენ, იყო სამოქალაქო ომი, მინაბრძოლა, რომელშიც არც ერთ სხვა სახელმწიფოს, თუ იგი ანგარიშს უწევს საერთაშორისო სამართლისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მოთხოვნებს, არ შეუძლია ჩარევა და არც უნდა ერეოდეს. მაგრამ ბ-ნი დალესი, რომელიც გამალებით ეძებს იმ პირდაპირი და ცინიკური აგრესიის გამართლებას, რაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა მოახდინეს, ცდილობს დაამტკიცოს, თითქოს შინაბრძოლა ლიბანსა და იორდანიაში რაღაც გარედან წაქეზების შედეგი იყოს.

ეს მოჩმახული ხერხია კოლონიზატორებისა, რომელნიც უკვე რამდენი წელია ცდილობენ იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის დამსხვრევის უძლეველი მსოფლიო-ისტორიული პროცესი დასახონ გარედან მოწყობილი ხრიკების შედეგად. ბევრი ამერიკელი პოლიტიკოსიც კი ურჩევს თეთრ სახლს არ აარიდოს თვალი არაბული ნაციონალიზმის უდიდეს ზრდას, ანგარიში გაუწიოს იმ ფაქტს, რომ არაბი ხალხები საბოლოოდ და მტკიცედ დაადგნენ თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზას. მაგრამ ბ-ნი დალესი კვლავ ჯიუტად სახავს ამ ბრძოლას რაღაც „არაპირდაპირი აგრესიის“ შედეგად და იმასაც კი ამბობს, რომ საჭიროა კონტროლს დაუქვემდებარონ რადიოგადაცემა ერთი ქვეყნიდან მეორეში. ერთი სიტყვით, ბ-ნ დალესს რომ ყური დაუგდოთ, შეიძლება ვიფიქროთ, უცხოეთის რადიოგადაცემები რომ არ ყოფილიყო, არაბი ხალხები, რომელთაც ჯერ კიდევ არ მოუპოვებიათ დამოუკიდებლობა, ძორჩილად ატარებდნენ კოლონიურ უღელს და მოითმენდნენ რეჟიმებს, რომლებიც მათ არა სურთ.

ამერიკის შეერთებული შტატე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პეკინელები მიესალმებიან კომუნიკეს მაო ძე-დუნისა და ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრის შესახებ

**პეკინი**, 3 აგვისტო. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება:

პეკინელები უდიდესი სიხარულითა და აღფრთოვანებით შეხვდნენ ცნობას, რომ ხელმოწერილია კომუნიკე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მაო ძე-დუნის შეხვედრის შესახებ. კომუნიკე მრავალგზის გადაიცა ქალაქის რადიოთი.

სწრაფად გაიყიდა დედაქალაქის სალამოს გაზეთის „ბეიძინ ვანბაოს“ დღევანდელი ნომრის მთელი ტირაჟი, რომელშიც დაბეჭდილია კომუნიკეს ტექსტი. გაზეთების ეიტრინებთან იკრიბებიან პეკინელები: კითხულობენ კომუნიკეს მაო ძე-დუნისა და ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრის შესახებ.

გაზეთმა „ბეიძინ ვანბაომ“ მაო ძე-დუნისა და ნ. ს. ხრუშჩოვის შეხვედრის შესახებ კომუნიკეს ტექსტი დაბეჭდა დიდი სათაურით „მაო ძე-დუნისა და ხრუშჩოვის შეხვედრა პეკინში“. ქვესათაურში გამოყოფილია სტატეები: „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და სსრ კავშირი მკაცრად გმობენ ამერიკა-ინგლისის აგრესიას შუა აღმოსავლეთში, მტკიცედ მოითხოვენ დიდი სახელმწიფოების მთავრობათა მეთაურების თათბირის დაუყოვნებლივ მოწვევას. ჩინეთი და სსრ კავშირი მთელი ძალლონით იბრძვიან დაძაბულობის შენელებისათვის და ახალი ომის თავიდან აცილებისათვის“.

# უმაღლეს დონეზე თათბირის საკითხის გარშემო

**ნიუ-იორკი**, 3 აგვისტო. (საკდესის კორ.). ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთი გაზეთი შეშფოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს შორის უთანხმოებაა უმაღლესი დონის თათბირთან დაკავშირებულ საკითხებზე.

გაზეთი „კრისჩენ საიენს მონიტორი“ აღიარებს, რომ ატლანტიკის პაქტის საბჭოს ცდა გამოემუშავებინათ საერთო პოზიცია მთავრობათა მეთაურების თათბირის მიმართ „პაქტის 15 წევრის წარმომადგენლებს შორის მწვავე კამათის შემდეგ ჩიხში მოექცა“ და რომ ამ კამათმა „ცხადყო საერთო შეთანხმების შეუძლებლობა“.

„ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი“ დღეს აქცენტებს ცნობას, რომელშიც ერთმანეთს ადარებს ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირის, ინგლისისა და საფრანგეთის პოზიციებს თათბირის ადგილის, დროის, პროცედურის, მონაწილეთა შემადგენლობისა და დღის წესრიგის საკითხებზე. ეს ცნობა აღასტურებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის პოზიციები ფაქტიურად ერთმანეთის საწინააღმდეგოა ყველა საკითხში. გაზეთები დე გოლს ბრალად დებენ იმას, რომ ინგლის-ამერიკის გეგმისადმი თავისი წინააღმდეგობით იგი ძირს უთხრის პარტნიორთა პოზიციას.

პარიზიდან მიღებულ ცნობებში აღნიშნულია, რომ დე გოლი ალბათ არ მიიღებს მონაწილეობას ისეთ თათბირში, რომელიც უნდა მიმდინარეობდეს როგორც უშიშროების საბჭოს ჩვეულებრივი სხდომა, ამერიკის შეერთებული შტატების განზრახვის შესაბამისად, არამედ გაგზავნის საგარეო საქმეთა მინისტრს. ეს შექმნიდა დამატებითს საოქმე სიძნელეს თათბირისათვის ამერიკის გეგმის მიხედვით, რადგან აგვისტოში უშიშროების საბჭოში თავმჯდომარეობს საფრანგეთის წარმომადგენელი, და ამ შემთხვევაში მთავრობათა მეთაურებს მოუხდებოდათ თათბირი საგარეო საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით.

გაზეთები აღნიშნავენ უთანხმოებას აგრეთვე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს შორის, როგორც პროცედურის, ისე განსახილველ საკითხთა არსის გამო. ინგლისმა მოითხოვა, ამერიკელ კომენტატორთა აზრით, მოეწყოს მთავრობათა მეთაურების თათბირი უშიშროების საბჭოს ფორმალური სხდომების პარალელურად. ხოლო დალესს, როგორც პრესკონფერენციაზე მისი განცხადებიდან ჩანს, შესაძლოდ მიაჩნია მთავრობათა მეთაურებს შორის აზრთა გაზიარება, საბჭოს სხდომების გარდა, მხოლოდ „კულუარებში“.

ლონდონს, როგორც კომენტატორები აღნიშნავენ, შესაძლოდ მიაჩნია, რომ უშიშროების საბჭოს სპეციალურ სხდომაზე საკითხები არ გადაიჭრას კენჭის ყრით და რომ საბჭომ განიხილოს მხოლოდ წინადადებანი, რომლებსაც წინასწარ შეათანხმებენ მთავრობათა მეთაურები. ვაშინგტონი კი კვლავ მოითხოვს უშიშროების საბჭოს „ნორმალურ პროცედურას“, რომლის დროს ამერიკის შეერთებული შტატები შეძლებენ, როგორც ამას ისინი ჩვეულებრივ სჩადიან, ყველა არგუმენტს დაუპირისპირონ კენჭისყრის მანქანა — ჩანკაიშელისა და ამერიკის შეერთებულ შტატებზე დამოკიდებულ სახელმწიფოთა წარმომადგენლების ხმები. ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლიათ, მაგალითად, ისარგებლონ ჩანკაიშელის სამსახურით, რათა მისი ვეტოს საშუალებით არ დაუშვან ინდოეთის მონაწილეობა თათბირში, რაც გადაკვრით აღნიშნულია დღევანდელი გაზეთების ცნობებში.

როგორც ფიქრობენ, ინგლისის მთავრობა, რომელიც იძულებულია ანგარიში გაუწიოს ძლიერ ოპოზიციასა და საზოგადოებრივ აზრს, დაინტერესებულია იმით, რომ, თუნდაც მოსაჩვენებლად, გამოიჩინოს ერთგვარი მზადყოფნა ახლო აღმოსავლეთის კრიზისის გადაჭრის გამოძებნისათვის. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები, აყენებენ რა პირველ პლანზე ეგრეთწოდებულ „არაპირდაპირ აგრესიას“, აშკარად ცდილობენ გადაქციონ თათბირი მხოლოდ პროპაგანდის ასპარეზად „ცივი რმის“ სულისკვეთების შესაბამისად.

ლ. ველიჩანსკი.

# ბრაზილიის პრესა საბჭოთა ბალეტის მსახიობთა გამოსვლების შესახებ

**ბუენოს-აირესი**, 3 აგვისტო. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, აქ სან-პაულოდან (ბრაზილია) ჩამოვიდა თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობთა ჯგუფი, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. მ. ჭაბუკიანი.

ბრაზილიაში ყოფნის დროს საბჭოთა მსახიობებმა გამართეს 8 კონცერტი ქალაქებში რიო-დე-ჟანეიროსა და სან-პაულოში, რომლებსაც დაესწრო ათი ათასობით მაყურებელი. მსახიობებმა შეასრულეს ფრაგმენტები ბალეტებიდან „ოტელო“, „შოპენიანა“, „გედის ტბა“, „დონ-ჟუანი“, „წითელი ყაყაჩო“ და სხვ. აგრეთვე ეროვნული ქართული ცეკვები. ყველა კონცერტმა არაჩვეულებრივი წარმატებით ჩაიარა. ბევრი ნომერი 2-3-ჯერ იქნა შესრულებული. საბჭოთა მსახიობების გამოსვლას რიო-დე-ჟანეიროში კონცერტზე, რომლის შემოსავალი გადაეცა ბავშვთა ორგანიზაციას „პიონეროს სოსაის“, რომელსაც რესპუბლიკის პრეზიდენტის მეუღლე ქ-ნი კუბიჩეკი მეთაურობს, აღფრთოვანებით შეხვდა საზოგადოება. კონცერტი გადაიქცა ბრაზილია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის დემონსტრაციად.

ბრაზილიის პრესა მაღალ შეფასებას აძლევს საბჭოთა მსახიობების ოსტატობას. გაზეთ „ნოტისიას დე ოჟის“ სიტყვით, საბჭოთა მსახიობებმა „მოაჯადოვეს“ ბრაზილიის საზოგადოება. გაზეთი „ა გაზეტა“ საბჭოთა ბალეტის მსახიობებს უწოდებს „ვირტუოზებს“, როგორც გაზეთი „იმპრენსა პოპულარი“ ხაზგასმით აღნიშნავს, საბჭოთა მსახიობების კონცერტები ბრაზილიაში იყო „ბრწყინვალე“; „დაუვიწყარი“ ბრაზილიელი მაყურებლებისათვის. ბრაზილიელებს „ძალიან მოეწონათ საბჭოთა ბალეტი“, აღნიშნავს გაზეთი „ულტიმა ორა“. „ა გაზეტა“ ბრწყინვალე შეფასებას აძლევს ჭაბუკიანისა და ვერა წიგნაძის გამოსვლებს. პრესა აღნიშნავს აგრეთვე, რომ დიდი წარმატება ხვდათ ბალეტის მსახიობებს კიკალეიშვილს, გელოვანს, ეთერ ჭაბუკიანს, მთაიშვილსა და სხვებს.

ბრაზილიაში ყოფნის დროს საბჭოთა მსახიობები შეხვდნენ მუსიკოსებს, მწერლებს, მსახიობებს, გაეცნენ ბრაზილიის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს, მოაწყეს რამდენიმე პრესკონფერენცია. მათ ყველგან გულთბილად და გულმხურვალედ ხვდებოდა მოსახლეობა.

არგენტინაში საბჭოთა ბალეტის მსახიობები გამართავენ რამდენიმე კონცერტს, ხოლო შემდეგ საგასტროლოდ გაემგზავრებიან ჩილეში, კოლუმბიაში, ვენესუელაში, მექსიკაში.

# ფრანს პრესის სააგენტო ლიბანში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა ჯგუფის მოხსენების შესახებ

**პარიზი**, 2 აგვისტო. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო, იუწყება რა ლიბანში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა ჯგუფის მეორე მოხსენების შესახებ, რომელიც უშიშროების საბჭოს გადაეცა 31 ივლისს, აღნიშნავს, რომ ამ ჯგუფს „ჯერ კიდევ არ უპოვია იმის არავითარი დამამტკიცებელი საბუთი, რომ აჯანყებულნი, რომლებიც იბრძვიან ლიბანში სირიის საზღვრის მახლობლად, სირიიდან მოვიდნენ“.

ახალ მოხსენებაში, რომელიც აღასტურებს ამ ჯგუფის წინანდელ დასკვნებს, ნათქვამია, როგორც ფრანს პრესის სააგენტო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ლიბანში ამერიკის ჯარების გადასხმამ სიძნელეები შეუქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეთვალყურეთა ჯგუფს იმ ეფექტის გამო, რომელიც ამ გადასხმამ მოახდინა აჯანყებულთა კონტროლდაქვემდებარებული რაიონების მოსახლეობაზე“.

საფრანგეთის სააგენტო გამოყოფს მეთვალყურეთა მოხსენების შემდეგ კრიტიკულ შენიშვნებს ლიბანის შამუნის მთავრობის მიმართ:

„1) მეთვალყურეებს არ შეუძლიათ დაადასტურონ შეღწევის არც ერთი ვითომდა განხორციელებული აქტი, რომლებიც მოყვანილი იყო ლიბანის მთავრობის 33 წერილში, ამასთან მთავრობის ზოგიერთი ცნობა შეიცავდა არა ზუსტ ვერსიებს ინცინდენტების შესახებ, რომლებშიც გარეული იყვნენ თვით მეთვალყურენი.

2) ლიბანის ჯარები არ არიან მეტწილ გზებზე და მეტწილ სტრატეგიულ პუნქტებში, რომლებსაც, მთავრობის მტკიცებით, იყენებენ შეღწევისათვის.

3) ლიბანის მთავრობამ არ დართო ნება მეთვალყურეთა ჯგუფს დაეკითხა ტყვეები, რომლებიც თითქოს უცხო ელემენტთა რიცხვს ეკუთვნიან“.

# მდგომარეობა ლიბანში

**ბეირუთი**, 3 აგვისტო. (საკდესი). პრესის ცნობით, გუშინ გაიმართა ლიბანის მინისტრთა საბჭოს სხდომა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ლიბანის ახლანდელი მთავრობა არ გადადგება პრეზიდენტ შამუნის რწმუნებათა ვადის გასვლამდე, ესე იგი 24 სექტემბრამდე.

გაზეთი „ორიანი“ წერს, რომ პარლამენტის თავმჯდომარე ადელ ოსეირანი და პარლამენტის ზოგიერთი დაჯგუფება, აგრეთვე ოპოზიცია დაჟინებით მოითხოვენ სამი სოლის მთავრობის დაუყოვნებლივ გადადგომას.

როგორც გაზეთი „ორიანი“ აღნიშნავს, გუშინ გაიმართა თათბირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქამილ შამუნმა, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა რობერტ მერფიმ, ახალმა პრეზიდენტმა ფუად შეხაბმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა შარლ მალიქმა. თათბირმა განიხილა ლიბანის საშინაო პოლიტიკური მდგომარეობა.

ამასთანავე გრძელდება ამერიკის ჯარების გადასხმა ბეირუთის ნავსადგურში. დასახლებულ პუნქტ ანტელიასთან (6 კილომეტრზე ბეირუთის ჩრდილოეთით), აგრეთვე ლიბანის დედაქალაქის სამხრეთით წარმოვებს საომარი ტექნიკისა და საჭურვლის გადმოტვირთვა ამერიკის სამი სამხედრო ტრანსპორტიდან. ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ძალების თვითმფრინავებს ჰალდეს საერთაშორისო აეროდრომზე (ბეირუთის მახლობლად) გადაეკეთ სამხედრო ტვირთი.

როგორც გაზეთი „ალ ჯარიდა“ იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ლიბანში მაკლინტოკმა, გამოვიდა რა პრესკონფერენციაზე ბეირუთში, უარი თქვა ეპასუხნა კითხვაზე, თუ რა მიზეზით ჩავიდნენ ლიბანში ამერიკის ჯარების ახალი კონტინგენტები. მან განაცხადა, რომ ამერიკის ჯარების გადასხმა ლიბანში გაგრძელდება.

# „ამერიკელი იმპერიალისტები ამზადებენ ახალ დანაშაულს“

**დამასკო**, 3 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის ჯარების ახალი კონტინგენტების გადმოსხმამ ლიბანში დიდი აღშფოთება და გულისწყრომა გამოიწვია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის სირიის რაიონში. დამასკოს პრესა მკვეთრად აკრიტიკებს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ მოქმედებას არაბთა აღმოსავლეთში და გადაჭრით მოითხოვს ამერიკის ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას ლიბანიდან. ყოველი დაყოვნება ამ საკითხში, აღნიშნავს გაზეთი „ან-ნასრი“, „ნიშნავს ვითარების ახალ გამწვავებას“.

„ან-ნური“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ამერიკის ჯარების გადასხმა ლიბანში, რაც გრძელდება, ადასტურებს, რომ ამერიკელი იმპერიალისტები ამზადებენ ახალ დანაშაულს ახლო და შუა აღმოსავლეთში“.

# დახეული ჭომარა...

**ანკარა**, 2 აგვისტო. (საკდესი). თურქეთის ახლანდელი მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა, რომელმაც ეს ქვეყანა გაკოტრების პირას მიიყვანა, მზარდ შეშფოთებასა და უკმაყოფილებას იწვევს თურქეთის საქმიან და პოლიტიკურ წრეებში. როგორც ცნობილია, მიმდინარე წლისათვის თურქეთის საგარეო ვალი შეადგენს 1 მილიარდ დოლარზე მეტს. თურქი ეკონომისტების გამოანგარიშებით, ეს კოლოსალური თანხა შეიძლება გადახდილ იქნეს მხოლოდ... 2.002 წელს! მაგრამ, როგორც პრესის ცნობებიდან ცხადი ხდება, თურქეთის მთავრობას, რომელიც იძულებულია უდიდესი სახსრები ხარჯოს საომარი მზადებისათვის, რაც დაკავშირებულია აგრესიულ სამხედრო დაჯგუფებებში თურქეთის მონაწილეობით, განზრახვა აქვს მომავალშიც მთავარი იმედი დაამყაროს უცხოეთის ფინანსურ „დახმარებაზე“. დასავლეთის სახელმწიფოთაგან თურქეთის მთავრობის მიერ განზრახული ახალი კრედიტების მიღებას აკრიტიკებენ თურქეთის მთელი რიგი პოლიტიკური მოღვაწეები. ამ მხრივ საყურადღებოა „თავისუფლების პარტიის“ ხელმძღვანელი საბჭოს წევრის აიდინ იალჩინის განცხადება.

„უცხოეთიდან მიღებული კრედიტები, — განაცხადა იალჩინმა, — საჩუქარი როდია. მათ ძლიერ მძიმე გავლენა აქვთ საგადამხდელო ბალანსზე“.

იალჩინი განაგრძობს: „ის გარემოება, რომ ჩვენ ყოველთვის დახმარებისათვის ხელი გაწვდილი გვაქვს უცხო სახელმწიფოებისაკენ, იმას მოწმობს, რომ ყალბ და საშიშ გზაზე ვდგავართ“. თურქეთის ეკონომიკის გასაჯანსაღებლად, რომელიც იალჩინმა დახეულ ტომარას შეადარა, საჭიროა, მისი აზრით, „თვით თურქების ღონისძიებანი“. „სანამ რამეს ჩავდებდეთ ამ ტომარაში, — თქვა მან, — ჯერ საჭიროა გავკეროთ იგი. თუ წინანდელი ფინანსური პოლიტიკა განგრძობილ იქნა, ეს ტომარა ვერ გვიშველის“.

გაიხსენა რა, რომ თურქეთის ექსპორტის 42 პროცენტი ხმარდება ვალები დაფარვას და რომ 1957 წელს ამ მიზნისათვის 400 მილიონი ლირა დაიხარჯა, იალჩინმა განაცხადა: „თუ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ უცხოეთის კრედიტების დახმარებით შეიძლება ყველა სიძნელის გადაჭრა, უახლოეს მომავალში მათ მწარე იმედგაცრუება მოელით“.

# ოდესის მუსიკალური კომედიის თეატრის გასტროლები თბილისში

**5 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრის შენობაში გასტროლებს იწყებს ოდესის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრი, რომელიც თბილისში საგასტროლოდ ჯერ კიდევ 1953 წელს იყო.**

**განვლილი წლების მანძილზე თეატრის ცხოვრებაში მრავალი ცვლილება მოხდა. თეატრი ქალაქ ლვოვიდან სამუშაოდ ოდესაში გადავიდა. კოლექტივს შეემატა ახალი ძალები, მთელ რიგ მსახიობებს მიენიჭათ სპეციალური წოდებები. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა თეატრის ცხოვრებაში იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 40 წლისთავის აღსანიშნავად მოწყობილ სრულიად საკავშირო ფესტივალში მონაწილეობა. ოდესელი ავტორების ა. გუბერმანის, ა. შნაიდერის და კიეველი კომპოზიტორის ოსკარ სანდლერის სპექტაკლი „შეუვარებულებს უძღვენით შროშანები“ და რუმინელი კომპოზიტორის გერასე დენდრინოს ოპერეტა „მიეცით ნება სიმღერას“ ფესტივალზე პირველი ხარისხის დიპლომებით აღინიშნა.**

**ეს ორივე სპექტაკლი შედის თეატრის საგასტროლო რეპერტუარში.**

**ავტორებთან მჭიდრო მეგობრობამ თეატრს საშუალება მისცა შეექმნა თავისებური რეპერტუარი. უკანასკნელი წლების მანძილზე ოდესის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის სცენაზე დაიდგა ოპერეტები კ. პეგზნერის „მუდამ სატრფოსთან“, ა. სპადავეკიას „ვიოლინოს გული“. ზემოთ აღნიშნულ ოპერეტებს გარდა თბილისელი მაყურებელი ნახავს ი. დუნაევსკის ცნობილ ოპერეტას „თეთრი აკაცია“, აგრეთვე კლასიკურ ოპერეტებს — ი. შტრაუსის „ღამურას“, ი. კალმანის „სილვიასა“ და „მარიცას“, ფ. ლეგარის პოპულარულ ოპერეტას „ფრასკიტას“.**

**სპექტაკლებს გარდა ოდესის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრი შემოქმედებითს შეხვედრებს მოაწყობს თბილისის საწარმო-დაწესებულებებში.**

**მახარაძის რაიონის სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში შეუდგნენ რესპუბლიკაში ერთ-ერთი უმსხვილესი მეფრინველეობის ფერმის მშენებლობას, რომელსაც ექნება საზაფხულო ბანაკები წყალშემცურავი ფრინველისათვის. სურათზე: სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე მიწამწოვი დანადგარი აწარმოებს ტბის გაწმენდას წყალშემცურავი ფრინველების გაშენებისათვის.**

ფოტო ა. აბულაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

# სპორტის ამგვეგი

## ახალი მსოფლიო რეკორდი

მიმდინარე სასპორტო სეზონში წარმატებით გამოდის რუმინეთის ცნობილი მძლეოსანი ქალი ი. ბალაში. პირველ აგვისტოს ბუქარესტში გამართულ მძლეოსანთა ასპარეზობაში ი. ბალაში გადახტა 1 მეტრსა და 81 სანტიმეტრზე და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. წინანდელი რეკორდი ეკუთვნოდა მასვე და უდრიდა 180 სანტიმეტრს.

## საზონათაშორისო ტურნირი

დღეს იუგოსლავიის საკურორტო ქალაქ პორტოროოეში გაიმართება საზონათაშორისო საჰადრაკო ტურნირის პირველი ტური.

ამ ტურნირმა უნდა გამოავლინოს 5 უძლიერესი მოჭადრაკე, რომლებიც მოშავალ წელს სმისლოვთან და კერესთან ერთად ჩაებმებიან მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირში.

საბჭოთა გროსმაისტერებს — ტალს, პეტროსიანს, ბრონშტეინსა და ავერბახს გარდა ამისა, რომ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს, ბრძოლა მოუხდებათ ისეთ გამოჩენილ მოჭადრაკეებთან, როგორიც არიან პახმანი და ფილიპი (ჩეხოსლოვაკია), საბო (უნგრეთი), გლიგორიჩი და მატანოვიჩი (იუგოსლავია), პანო (არგენტინა), ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონი 15 წლის ფიშერი და სხვ.

გუშინ პორტოროოეში მოეწყო ტურნირის საზეიმო გახსნა და წილისყრა.

## საერთაშორისო შეხვედრები

⊙ მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის საცურაო აუზში ორ დღეს გრძელდებოდა საერთაშორისო შეჯიბრება წყალში ხტომაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის გუნდებს შორის. გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა: ქალთა შორის — ნ. კრუტოვამ, ვაჟთა შორის — ვ. ჩერნიშოვმა.

⊙ ლენინგრადში დამთავრდა საერთაშორისო შეხვედრა ველოსპორტში სსრ კავშირისა და უნგრეთის გუნდებს შორის. ამ შეჯიბრებაში წარმატება მოიპოვეს ლ. ხმელმა და ბ. ვასილიევმა (სსრ კავშირი), რ. ბიჩკემა და ი. ფურმენმა (უნგრეთი).

## სსრ კავშირის პირველობაზე

**მოსკოვი**, 3 აგვისტო. XX ჩემპიონატის მორიგი მატჩი ფეხბურთში დედაქალაქის „დინამოსა“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“ ფეხბურთელთა კოლექტივებს შორის დინამოელთა უპირატესობით წარმართა და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 3 : 0.

**მოსკოვი**, 4 აგვისტო. დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა სსრ კავშირის პირველობის გათამაშების მეორე წრის მორიგი შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბისა და თბილისის „დინამოს“ გუნდები.

შეხვედრა დამთავრდა არმიელთა გამარჯვებით ანგარიშით 5 : 1.

## სტუდენტთა ასპარეზობა

კიევში 3.500-მდე სპორტსმენი სტუდენტი ეცილებოდა ერთმანეთს პირველობას შეჯიბრების პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის 13 სახეობაში.

წარმატებით გამოვიდნენ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელები, რომლებმაც როგორც ქალთა, ისე ვაჟთა გუნდებს შორის პირველი ადგილი დიაკავეს.

ასპარეზობაში გაიმარჯვეს აგრეთვე საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დაწნით მებრძოლმა სპორტსმენებმა და ველოსრბოლმა ქალებმა. წარმატებით დამთავრა შეჯიბრება ამავე ინსტიტუტის მჭატე წონის ძალოსანმა რ. დათიკაშვილმა, რომელმაც სამჭიდში 292,5 კილოგრამი აჩვენა.

## კომკავშირის 40 წლისთავის აღსანიშნავად

**სტალინირი**. (ხაკ. კორ.). აქ სამ დღეს გრძელდებოდა ბათუმის, სოხუმისა და სტალინირის ფრენბურთელთა და კალათბურთელთა შეჯიბრება, რომელიც კომკავშირის 40 წლისთავის ოუბილეს მიეძღვნა. კალთბურთელთა შეხვედრებში გაიმარჯვეს სტალინირელმა სპორტსმენებმა, ფრენბურთელთა შეჯიბრებაში — ბათუმელებმა.

**რედაქტორი პ. რატიანი.**

# სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხი

## საცნობარო ცხრილი

**მოგებათა 64-ე ტირაჟისა, რომელიც გაიმართა 1958 წლის 30 ივლისს ქალაქ მოსკოვში.**

მოგება ხვდა სესხის თერთმეტივე თანრიგის სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

| სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით | სერიის № | ობლიგაციის № | მოგება მანეთობით |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 000659 | 10*) | 5.000 | 018719 | 1—50 | 400 | 038278 | 12*) | 25.000 | 054119 | 50*) | 5.000 | 085906 | 1—50 | 400 |
| 000676 | 1—50 | 400 | 019055 | 47*) | 5.000 | 038479 | 19*) | 10.000 | 054700 | 38*) | 5.000 | 086125 | 1—50 | 400 |
| 001270 | 30*) | 5.000 | 020481 | 1—50 | 400 | 038549 | 37*) | 5.000 | 055763 | 43*) | 10.000 | 086154 | 17*) | 10.000 |
| 001418 | 37*) | 5.000 | 020495 | 1—50 | 400 | 039152 | 18*) | 5.000 | 055871 | 06*) | 5.000 | 086719 | 1—50 | 400 |
| 002157 | 12*) | 5.000 | 020615 | 1—50 | 400 | 039293 | 23*) | 5.000 | 056555 | 04*) | 10.000 | 087045 | 24*) | 5.000 |
| 002735 | 17*) | 5.000 | 021438 | 03*) | 10.000 | 039417 | 39*) | 10.000 | 056885 | 26*) | 10.000 | 087047 | 1—50 | 1.000 |
| 003213 | 1—50 | 1.000 | 021560 | 14*) | 5.000 | 039537 | 1—50 | 400 | 057493 | 26*) | 5.000 | 087205 | 01*) | 5.000 |
| 003487 | 1—50 | 400 | 022020 | 1—50 | 1.000 | 039864 | 40*) | 5.000 | 059034 | 28*) | 5.000 | 087921 | 46*) | 5.000 |
| 003599 | 25*) | 5.000 | 022164 | 44*) | 5.000 | 040005 | 17*) | 5.000 | 060989 | 16*) | 25.000 | 087955 | 03*) | 5.000 |
| 003720 | 24*) | 5.000 | 022776 | 1—50 | 400 | 040049 | 13*) | 5.000 | 061174 | 17*) | 10.000 | 088050 | 1—50 | 400 |
| 003806 | 1—50 | 400 | 023703 | 22*) | 5.000 | 041390 | 1—50 | 400 | 061335 | 1—50 | 400 | 089453 | 1—50 | 400 |
| 004439 | 1—50 | 1.000 | 024121 | 27*) | 10.000 | 041497 | 41*) | 10.000 | 062241 | 37*) | 5.000 | 090114 | 22*) | 10.000 |
| 004947 | 1—50 | 1.000 | 024172 | 02*) | 5.000 | 042338 | 1—50 | 400 | 062672 | 20*) | 5.000 | 090738 | 1—50 | 400 |
| 006435 | 1—50 | 1.000 | 024501 | 1—50 | 400 | 043236 | 1—50 | 400 | 062864 | 1—50 | 400 | 091087 | 36*) | 5.000 |
| 006662 | 21*) | 10.000 | 024724 | 24*) | 5.000 | 043349 | 39*) | 10.000 | 063581 | 42*) | 5.000 | 093560 | 01*) | 5.000 |
| 006720 | 1—50 | 400 | 025469 | 1—50 | 400 | 043423 | 1—50 | 400 | 064947 | 1—50 | 1.000 | 093577 | 01*) | 5.000 |
| 006750 | 07*) | 10.000 | 025523 | 1—50 | 1.000 | 044150 | 37*) | 5.000 | 066499 | 06*) | 5.000 | 093810 | 1—50 | 400 |
| 007477 | 17*) | 5.000 | 027323 | 1—50 | 400 | 044422 | 28*) | 5.000 | 066935 | 09*) | 10.000 | 094120 | 49*) | 25.000 |
| 007569 | 14*) | 5.000 | 029228 | 32*) | 5.000 | 044674 | 36*) | 5.000 | 068901 | 25*) | 5.000 | 095397 | 05*) | 5.000 |
| 007572 | 1—50 | 400 | 029646 | 32*) | 5.000 | 044726 | 24*) | 5.000 | 072294 | 1—50 | 400 | 095429 | 1—50 | 400 |
| 007674 | 21*) | 10.000 | 030184 | 15*) | 10.000 | 045897 | 01*) | 5.000 | 073047 | 35*) | 5.000 | 096024 | 1—50 | 400 |
| 008407 | 08*) | 5.000 | 030310 | 35*) | 5.000 | 047403 | 1—50 | 400 | 074306 | 11*) | 50.000 | 096042 | 20*) | 5.000 |
| 008454 | 1—50 | 400 | 031142 | 1—50 | 1.000 | 047771 | 12*) | 5.000 | 075002 | 1—50 | 1.000 | 096641 | 12*) | 5.000 |
| 008836 | 1—50 | 400 | 031224 | 33*) | 5.000 | 047885 | 44*) | 25.000 | 075012 | 34*) | 5.000 | 097201 | 26*) | 5.000 |
| 009014 | 33*) | 5.000 | 031339 | 04*) | 10.000 | 048690 | 1—50 | 1.000 | 075746 | 1—50 | 400 | 097621 | 42*) | 5.000 |
| 009724 | 39*) | 10.000 | 031596 | 27*) | 5.000 | 049115 | 22*) | 5.000 | 076346 | 49*) | 5.000 | 097666 | 36*) | 5.000 |
| 009903 | 1—50 | 400 | 032346 | 16*) | 5.000 | 050643 | 15*) | 10.000 | 076834 | 16*) | 5.000 | 098146 | 29*) | 5.000 |
| 011475 | 1—50 | 400 | 032789 | 49*) | 5.000 | 051124 | 33*) | 5.000 | 077168 | 27*) | 5.000 | 098197 | 1—50 | 400 |
| 012095 | 08*) | 10.000 | 033154 | 1—50 | 400 | 052277 | 27*) | 5.000 | 077473 | 39*) | 5.000 | 098238 | 10*) | 10.000 |
| 012412 | 22*) | 5.000 | 034213 | 19*) | 5.000 | 052887 | 15*) | 10.000 | 078558 | 1—50 | 400 | 098590 | 31*) | 5.000 |
| 013497 | 1—50 | 400 | 034302 | 31*) | 10.000 | 053474 | 29*) | 5.000 | 082907 | 44*) | 5.000 | 098974 | 25*) | 5.000 |
| 013698 | 19*) | 10.000 | 035096 | 21*) | 25.000 | 053709 | 37*) | 5.000 | 083713 | 1—50 | 1.000 | 099180 | 21*) | 5.000 |
| 014439 | 10*) | 5.000 | 035707 | 1—50 | 400 | 053802 | 46*) | 5.000 | 084566 | 1—50 | 400 | 099359 | 1—50 | 400 |
| 017277 | 34*) | 50.000 | 035978 | 1—50 | 1.000 | 053915 | 01*) | 5.000 | 085344 | 1—50 | 400 | 099898 | 1—50 | 1.000 |

*) ამ სერიის ობლიგაციების დანარჩენ 49 ნომერს ხვდა 400 მანეთი მოგება თვითეულს.

მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისიის თავმჯდომარე — ქ. მოსკოვის სოკოლნიკის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ვ. მ. მაიოროვი.**

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი **ნ. ვ. კუზნეცოვა.**

## დღეს

**ფილარმონიის საზაფხულო თეატრი** — თეთრი აკაცია (ოდესის მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლი 9 ს.).

### კინოთეატრებში

**რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი** (საზამთრო), **ისანი** (საზამთრო), **პლეხანოვის სახელობის კლუბი, კომუნარების ბაღი** — ძალად მძღოლი, **ამირანი** (საზამთრო), **სპარტაკი, კომკავშირელი, საქართველო** (წითელი დარბაზი), **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** — ერთი ქალის ცხოვრება, **ამირანი** (საზაფხულო), **თბილისი, გორკის სახელობის კულტურის სახლი, ვაკის პარ